

დევიაცია და სოციალური კონტროლი

1. რა არის დევიაცია?
2. დევიაცია და სოციალური მოლოდინები
3. დევიაციის მიზეზები?
4. ბიოლოგიური ახსნა
5. ფსიქოლოგიური ახსნა
6. სოციოლოგიური ახსნა
7. კულტუროლოგიური ახსნა
8. კონფლიქტოლოგიური ახსნა
9. დევიაციის ტიპები
10. დევიაცია როგორც განვითარების პროცესი
11. სტიგმატიზაციის თეორია
12. სოციალური კონტროლი

1986 წლის 5 ნოემბრის ღამეს ორმა პატიმარმა ძალიან გაბედული გაქცევა მოახერხა პლეზანტონის(კალიფორნიის შტატი) ფედერალური საპრობილიდან. საუბარია თაღლითობისათვის გასამართლებულ 42 წლის რონალდ მაკინტოშის და ბანკის გამარცვისათვის მსჯავრდებულის 37 წლის სამანტა ლოპესის შესახებ. ისინი შეყვარებულები იყვნენ, და დაუყოვნებლივ მონათლეს “განუყრელ შეყვარებულებად”, როგორც კი პრესაში მათი გაქცევის შესახებ ცნობა გამოქვეყნდა.

აი როგორ მოხდა ყველაფერი. მაკინტოშმა მოახერხა ვერტმფრენის გატაცება. ყოფილმა სამხედრო მფრინავმა გაბედულად შეძლო ციხის ეზოში დაშვება, გულში ჩაიკრა ლოპესი და ვერტმფრენიც აფრინდა. დაცვამ ვერ გაბედა ესროლა ვერტმფრენისთვის, იგი შეიძლება ჩამოვარდნილიყო ეზოში და მრავალი ადამიანი დაღუპულიყო. შეყვარებულები 10 დღე ეძებოდნენ პოლიციას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი დააკავეს ჩეკის(ქვიტორის) გზით ფულის მიღების მცდელობისას საკრამენტოს გარეუბნის სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე. ისინი ცდილობდნენ ვაშინგტონის შტატის სანაპირო წყლებში ღუზა ჩაშვებულ იახტაზე მოხვედრას; ალბათ, კანადაში სურდათ გაქცევა.

ცხადია, რომ აღწერილი შემთხვევა - დევიაციის ნათელი მაგალითია: სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი ორი პატიმარი ახერხებს ციხიდან გაქცევას.

ცნობამ ამ ჭეშმარიტად დრამატულ ხდომილების შესახებ სენსაცია მოახდინა კალიფორნიისა და მთელი ქვეყნის პრესაში. მაგრამ როდესაც რეპორტიორებმა ინტერვიუ ჩამოართვეს ციხის მოსამსახურეებს, დანაშაულობების სფეროში არსებულ ექსპერტებს და უბრალო გამვლელებს, ამ “დევიანტური” ქცევის თაობაზე სრულებით განსხვავებული შეხედულებები გამოითქვა.

ზოგი გაქცეულებს ცბიერ, ჭკვიან ადამიანებად მიიჩნევდნენ, რომლებმაც შეძლეს კანონის მოტყუება. ერთმა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა, თქვა რომ ისიც სიამოვნებით მოიქცეოდა ასე, ხოლო მეორემ გამოთქვა იმედი, რომ შეყვარებულების დაჭერას ვერასოდეს ვერ შეძლებდნენ. სხვა კომენტატორები კი აკრიტიკებდნენ პლეზანტონის ფედერალური ციხის

ადმინისტრაციას სუსტი დაცვისა და პატიმართა მიმართ რბილი დამოკიდებულების შესახებ. ისინი ციხეს ადარებდნენ “საგარეუბნო კლუბს”, რადგან ირი ზომით უშვებდნენ იმასაც კი, რომ ადამიანები სწორად იქცევიან, როდესაც იქიდან გარბიან.

დამნაშავეთა ადვოკატმა მას შემდეგ რაც ისინი საკრამენტოს ახლოს დაიჭირეს, სასამართლოს განუცხადა, რომ გაქცევა “გამართლებული იყო.”

ვინ არის ეს გაქცეულები - დევიანტები თუ გმირები, რობინ ჰუდი, რომელიც ერთიც იყო და მეორეც?

რას წარმოადგენს დევიაცია?

მაკინტოშთან და ლოპესთან დაკავშირებული შემთხვევები, მოწმობს იმას თუ როგორ ძნელია ქცევების შეფასება, დევიანტური ქცევის გამოვლინებებად იქნენ წოდებულნი. იყო კი ამ ადამიანების გაქცევა დევიანტური ქცევის მაგალითი? ყველაზე უფრო, კი, რამდენადაც არსებობს ციხიდან გაქცევის ამკრძალავი კანონი და მათი ქმედებაც იყო კანონის დარღვევა. მაგრამ ზოგიერთი დამკვირვებელი, როგორც ჩანს, თვლის, რომ იგი იმსახურებს მოწონებას და სრულებითაც არ არის დევიანტური. ჩვენი შეფასებები იმაზეა დამოკიდებული თუ რას მოველით – სამართლებრივი ნორმების დაცვასა თუ გმირობას? მოკლედ, რომ ვთქვათ, დევიანტურობა სოციალური მოლოდინებისადმი ქცევების შესატყვისობა – შეუსატყვისობით განისაზღვრება: პლენარულ კონსილიუმში “საგარეუბნო კლუბის” მოსამსახურეები უნდა ჩავთვალოთ თუ არა დევიანტებად იმის გამო, რომ მათ ზედმეტი სირბილე გამოავლინეს? ჩვენ არ შეგვიძლია პასუხი გავცეთ ამ კითხვას, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად მკაცრი ან ლმობიერი უნდა იყოს ციხის დაცვის მეთოდები. იყო თუ არა ლოპესის მიერ წარსულში ბანკის გაძარცვა დევიანტური ქმედება? უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებდა, რადგან ლოპესის ქცევა სისხლის სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენს, და ამავე დროს არსებობს ამგვარი სამართლებრივი ნორმების მიწანშეწონილების და აუცილებლობის თაობაზე საყოველთაო თანხმობა. ამ სიძნელეებთან დაკავშირებით სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ქმედება ერთსა და იმავე დროს დევიანტურად და არადევიანტურადაც კი ჩაითვალოს. უფრო მეტიც, მათ უფრო ერთი და იგივე ქმედება(მაგალითად, კათოლიკური ეკლესიის მიმართ ჟანა დარკის მიერ ნასროლი გამოწვევა) შეიძლება განხილულ იქნას როგორც სერიოზული დანაშაული ეპოქაში, როდესაც იქნა შესრულებული, და როგორც დიდი გმირობა, რომელიც შემდგომი თაობების საყოველთაო აღტაცებას იწვევს.

დევიაცია და სოციალური მოლოდინები

რამდენადაც დევიანტური ქცევის განსაზღვრის კრიტერიუმები არაერთმნიშვნელოვანია და ხშირად იწვევენ უთანხმოებებს, ძნელია ზუსტად დავადგინოთ, თუ როგორი ტიპის ქმედებები უნდა ჩაითვალოს დევიანტურად ჩვენს საზოგადოებაში. დევიაციის ყველაზე აშკარა მაგალითად, შეიძლება ყველაზე არაადამიანური ქცევები ჩაითვალოს, რომლებიც ყოველთვის

გაკიცხვას იწვევენ – მაგალითად, გაუპატიურება და მკვლელობა. მაგრამ ამ საფუძველზე ჯერ კიდევ ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ დევიაცია, რამეთუ მკვლელობაც კი განსაზღვრულ პირობებში გამართლებულია: იგი არა მხოლოდ ნებადართულია, არამედ ჯილდოდება კიდევ მკაფიოდ ომის დროს.

თუ მკვლელობაც კი არ შეიძლება დევიაციად ჩავთვალოთ აბსოლუტური აზრით, მაშინ კიდევ უფრო ძნელი იქნება იმის გადაწყვეტა არის თუ არა ქცევის სხვა ტიპები დევიანტური მაგალითად, პატარა ქალაქ კანზასში პროსტიტუცია არალეგალურია და დევიანტურ რაიმედ ითვლება, რენოში კი იგი დაკანონებულია, მაგრამ არც მოწონებით სარგებლობს., პარიზში ლეგალურია და არც გაკიცხვას იმსახურებს. (უნდა გავითვალისწინოთ, რომ დევიაცია არ შეიძლება დამნაშავეობასთან გავაიგივოთ, თუმცა დევიანტურობის ანალიზი ხშირად კრიმინალურ ქცევებზე ფოკუსირდება. დანაშაული, ანუ ქცევა, აკრძალული სისხლის სამართლის მიერ, დევიაციის ერთერთი ფორმაა.)

უფრო მეტიც, დევიანტური ქცევის განმსაზღვრელი მოლოდინები, დროის განმავლობაში იცვლებიან. ამას ადასტურებს სიგარეტის მოწვევასთან დაკავშირებული მონაცემები აშშ-ი სამოქალაქო ომის დროს სიგარეტი ჩვეულებრივ შედიოდა ჯარისკაცის მენიუში, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისში რელიგიური და ზნეობრივი მოტივებით გამოწვეული დაპირისპირება მოწვევის წინააღმდეგ იმდენად ძლიერი იყო, რომ 14 შტატმა მოწვევის ამკრძალავი კანონები შემოიღეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სიგარეტის მოწვევა არათუ ფართოდ გავრცელდა, არამედ სოციალური მოწონებაც კი დაიშინა. მაგრამ 1957 წელს, მას შემდეგ რაც მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ მოწვევა არის მრავალი დაავადების მიზეზი, ფილტვების კიბოს ჩათვლით, წინააღმდეგობის ახალი ტალღა დაატყდა ამ ჩვევას თავს. აქედან მოყოლებული ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელები გარემოს დაცვის მოძრაობის აქტივისტები და სამთავრობო ორგანიზაციები მძაფრად აკრიტიკებენ თამბაქოს მრეწველობას, და მწვევლებიც მზარდი საყოველთაო გაკიცხვის ობიექტები გახდნენ. ფაქტობრივად დღეს სიგარეტის მოწვევას დევიანტურ ქცევად თვლიან. მწვევლებს “ნარკომანებთან ნევროზით შეპყრობილებთან, აგრეთვე ჰაერის დამბინძურებლებთან და ხანძრის გაჩენაში დამნაშავეებთან” აიგივებენ. ასე, რომ მრავალი მწვეელი თავად თვლიან თავიანთ თავს დევიანტებად. ამიტომ ნაცვლად “სიგარეტს ხომ არ მოსწევთ?” –ახლა ეკითხებიან: “წინააღმდეგი ხომ არ იქნებით სიგარეტი, რომ მოვწიო?” _პასუხად კი ხშირად ჟღერს: “დიახ, გადაჭრით წინააღმდეგი ვარ.”

განუსაზღვრელობა

მეორე პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვეჯახებით, დევიაციის განსაზღვრების მცდელობისას, დაკავშირებულია ქცევითი მოლოდინების განუსაზღვრელობასთან. ზოგჯერ წესები მთლიანად და სავსებით ნათელი არ არის. შეიძლება თუ არა გზის გადაკვეთა ნება დაურთველ ადგილზე დევიაციად ჩავთვალოთ? ჩვენ არა ვართ ამაში დარწმუნებული. ეს აკრძალულია კანონით, მაგრამ ფართოდ არის გავრცელებული და ნახევრადლეგალურ რაიმედ ითვლება იქამდე, სანამ ტრანსპორტის მუშაობა არ შეფერხდება და არავის არ მიადგება ზიანი. იგივე განუსაზღვრელობასთან გვექნება საქმე თუ თქვენ ველოსიპედით ტროტუარზე გაივლით.

თანხმობის პრობლემა

და ბოლოს, თვით მაშინაც კი, როდესაც მოლოდინები, ქცევის წესები და ნორმები ნათლად ფორმულირებულია, მოსახლეობის შიგნით შეიძლება გაჩნდეს უთანხმოება მათი კანონიერებისა და სისწორის თაობაზე. მაგალითად 1919 წლი-დან 1933 წლამდე პერიოდში, როდესაც ამერიკაში აკრძალული იყო ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა, ამერიკელებს შორის არ იყო ერთსულოვნება იმის თაობაზე, თუ რამდენად კანონიერია ეს. მსგავსი უთანხმოება დღეს არსებობს მარიხუანას მოწევის თაობაზე. ეს ხაზს უსვამს მესამე პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელობას, რომელსაც ვეჯახებით მაშინ, როდესაც დევიაციის განსაზღვრებას ვცდილობთ: ჩვენს მსგავს პლურალისტურ საზოგადოებაში ერთი ადამიანის დევიანტური ქცევა მეორე ადამიანის მიერ ნორმალურ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენ უკვე ავღვიშნეთ, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შეუძლიათ განსხვავებული თვალსაზრისები გამომოთქვან ქცევის ზოგიერთი ტიპის დევიანტურობის შესახებ. გარდა ამისა, აუცილებლად განსხვავებულ შეხედულებებს ემხრობიან ისინიც, ვინც დაინტერესებულია ქცევის გაკონტროლებით და ახორციელებს მას. უნდა ჩაითვალოს თუ არა დევიაციად ავტომობილის ტარება სიჩქარით 62 მილი საათში, მაშინ როდესაც ზღვრული სიჩქარე 55 მილია საათში? კანონის თვალსაზრისით ეს დევიაციად ითვლება. მაგრამ მძღოლი შეიძლება სხვაგვარად ფიქრობდეს. ზოგიერთი პოლიციელი, რომელიც გზებზე მოძრაობას არეგულირებს, თვლის რომ სიჩქარის ნებისმიერი გადაჭარბება დევიანტური და დასჯადია, მაშინ როდესაც სხვები ზოგიერთ დათმობებზე მიდიან და მძღოლებს ნებას რთავენ იმოძრაონ 65 მილი საათში სიჩქარით – მაგრამ სიჩქარის შემდგომ გადაჭარბებას ისინიც კი თვლიან „ნამდვილ“ დევიანტურ ქცევად. სხვა ავტომობილისტები სიჩქარის გადაჭარბება_გადამეტებას მანამდე არ აქცევენ ყურადღებას, სანამ იგი თვითონ მათთვის არ იქნება საშიში. ამგვარად, მუდამ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ ეგრეთწოდებული „პუბლიკის,, რეაქცია ქცევის განსხვავებულ სახეებზე - საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ რა არის დევიანტური და რა არ არის დევიანტური. „პუბლიკის,, ცნება სა-ზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს, რომელთათვისაც დამახასიათებელია საზოგადოდ მიღებული არაპირდაპირი რეაქციები. ასევე მხედველობაში მიიღება ის ადამიანები, რომლებთანაც ამა თუ იმ ადამიანს ყოველდღიურად აქვს ურთი-ერთობა_ისინი უშუალოდ აფასებენ მის ქცევას. გარდა ამისა, იგულისხმება ხელისუფლების ორგანიზაციები ან ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გააკონტროლონ ქცევები.

ყველა ეს ფაქტორი (დევიაციის შეფარდებითი ბუნება, მოლოდინთა განუსაზღვრელობა, უთანხმოება წესების თაობაზე) გვეუბნება იმის შესახებ, რომ დაუშვებელია დევიანტურობის იარლიყი ქცევის რომელიმე სახეობას მივაკეროთ ყველა ვითარებასა და გარემოებაში. მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული ქცევის ზოგიერთი სახეობა თითქმის ყოველთვის დევიანტურად ითვლება. მაგალითად, თითქმის ყოველთვის დევიანტურად ითვლება. მაგალითად, თითქმის ყველა საზოგადოებაში ადამიანი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე უარს ამბობს ადამიანებთან საუბარზე(თუ ეს რელიგიურ რიტუალთან არის დაკავშირებული.) ჩვეულებრივ დევიანტად ითვლება. სექსუალური ქცევის სტანდარტების კვლევისას დადგინდა, რომ 110 საზოგადოებაში

სისხლის აღრევა, აგრეთვე გათხოვილი ქალების მოტაცება ან გაუპატიურება თითქმის ნებისმიერ შემთხვევაში ფასდებოდა როგორც დევიანტური ქცევის გამოვლინება.

დევიაციის განსაზღვრება

როგორც წესი, სოციოლოგები ისწრაფვიან მიუდგომელი დამოკიდებულება გამოიმუშავონ იმის მიმართ, რასაც ისინი იკვლევენ. ნეიტრალური პოზიცია მო-რალიზირების (თავიდან ამცილებელი) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დევიაციის შესწავლის დროს. რამდენადაც დევიანტური ქმედება ასოცირდება მრავალ ნეგატიურ გამოვლინებებთან (იგი “ბოროტების” განსახიერებაა რელიგიურ მსოფლხედველობაში, “ავადმყოფობის” სიმპტომია მედიცინის თვალსაზრისით, კერძოდ ფსიქიატრიის თვალსაზრისით, და “უკანონო” სამართლებრივ ნორმებთან შესატყვისობით); გაჩნდა მისი “არანორმალურ” ქმედებად ჩათვლის ტენდენცია. სინამდვილეში კი, ალბათ, უფრო გონივრული იქნება დევიაცია ქცევის ისეთივე “ბუნებრივ” ან “ნორმალურ” ფორმად ჩავთვალოთ, როგორც, მაგალითად, კონფორმიზმია. ის ფაქტი, რომ საზოგადოება ქცევის სტანდარტებს (მოლოდინებს) ქმნის, გულისხმობს, რომ ქცევები ყოველთვის ამ მოლოდინებს არ შეესატყვისებიან. თუ არავინ არ მოიხმარდა კოკაინს და არ ივაჭრებდა იმით, რა თქმა უნდა არ იარსებებდა მისი ამკრძალავი კანონიც. თუნდაც რომ არსებულიყო რაღაც იდეალური საზოგადოების მსგავსი რამ, ისიც კი ვერ შეძლებდა დიდხანს სრულყოფილი დარჩენილიყო. სოციოლოგიის ერთერთმა ფუძემდებელმა ემილ დიურკემმა ეს აზრი შემდეგნაირად გამოთქვა: “წარმოიდგინეთ წმინდანთა საზოგადოება, სანიმუშო მონასტრის მსგავსი, სადაც იდეალური ადამიანები ცხოვრობენ. მასში წარმოდგენაც კი არ აქვთ იმის შესახებ, რასაც ჩვენ დანაშაულს ვუწოდებთ, მაგრამ გადაცდომებს, რომლებიც უმნიშვნელო რაიმედ ეჩვენება რიგით მოქალაქეს, შეუძლიათ მათ შორის ისეთი სკანდალი გამოიწვიოს, როგორსაც ჩვეულებრივ დანაშაული იწვევს წესიერ ადამიანებში.”

ამგვარად, დევიაციას ძალუმს პრობლემები შეუქმნას საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფს ან თვით მთელ საზოგადოებასაც კი, მაგრამ იგი ისევე ბუნებრივია, როგორც მისი საპირისპირო - კონფორმიზმი. იმისათვის, რათა უფრო ღრმად გავიგოთ დევიაციის ბუნება, ჩვენ უნდა ვეცადოთ მის განსაზღვრებას, თუნდაც მას შენიშვნებიც კი სჭირდებოდეს. ვცადოთ დევიაცია განვსაზღვროთ როგორც ჯგუფური ნორმებისაგან გადახრა, რომელსაც მოსდევს იზოლაცია, მკურნალობა, დაპატიმრება ან სხვა სასჯელი.

მიცემული განსაზღვრების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დევიაციის სამი ძირითადი კომპონენტი გამოვყოთ: ადამიანი, რომელსაც განსაზღვრული ქცევა ახასიათებს; მოლოდინი, ანუ ნორმა, რომელიც დევიანტური ქცევის შეფასების კრიტერიუმია, და რომელიც მეორე ადამიანი, ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომლებიც ქცევაზე რეაგირებენ. ამ თავის დასაწყისში ითქვა, რომ მაკინტოში და ლოპესი დააპატიმრეს ციხიდან გაქცევის მცდელობისას. იმ საზოგადოების მიერ შექმნილი კანონებისა და ინსტიტუტების შესატყვისად, რომელსაც თავად ისინი ეკუთვნოდნენ, დაადგინეს, რომ მათი ქცევა მიუღებელია. მაშასადამე, სამართლ-დამცავი ორგანოების თანამშრომლებს უფლება აქვთ დააპატიმრონ და დასაჯონ დამნაშავეები. მრავალ ფაქტორთა და არა მხოლოდ თვით ქცევების შეერთების შედეგად ამ წყვილის ქცევა დევიანტური აღმოჩნდა.

როგორია დევიაციის მიზეზი?

თუ დევიაცია და კონფორმიზმი - ერთი მედლის ორი მხარეა, მაშინ პირველის რატომ ეთმობა ასე დიდი ყურადღება? ალბათ, იგი განსაკუთრებით მიმზიდველია და ამავე დროს გარეშემყოფთათვის დიდი შფოთვისა და განგაშის წყაროცაა. მეცხრამეტე საუკუნეში სოციალურმა მკვლევარებმა დევიაციის მრავალი ახსნა მოგვცეს; ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ დევიაციის ამხსნელ ძირითად თეორიებს. არაა გასაკვირი, რომ ამ თეორიებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ზემოთმოხსენიებული სამი ფაქტორებიდან ერთ-ერთს ენიჭება: ადამიანს, ნორმებს და ჯგუფს. (ნახე 215 გვერდზე ცხრილი, რომელშიც მოკლედ გადმოცემულია დევიაციის თეორიები)

ბიოლოგიური ახსნა

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იტალიელმა ექიმმა ჩეზარე ლომბროზომ აღმოაჩინა კავშირი კრიმინალურ ქმედებასა და განსაზღვრულ ფიზიკურ თვისებებს შორის. იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანებს თავიანთ ბიოლოგიური წყობის მიხედვით უჩნდებათ მიდრეკილება ქცევის განსაზღვრელი ტიპებისადმი. იგი ამტკიცებდა, რომ “კრიმინალური ტიპი” არის ადამიანური ევოლუციის ადრეულ სტადიებზე დეგრადაციის(დაშვების) რეზულტატი. ეს ტიპი შეიძლება განსაზღვროთ ისეთი სახასიათო ნიშნების მიხედვით, როგორცაა წინ წამოწეული ქვედა ყბა, მეჩხერი კბილები და ტკივილის მიმართ დაბალი მგრძობელობა. ლომბროზოს თეორია ფართოდ გავრცელდა, და ზოგიერთი მოაზროვნე მისი მიმდევარი გახდა – მათაც დაადგინეს კავშირი დევიატურ ქცევასა და განსაზღვრულ ფიზიკურ ნიშან-თვისებას შორის.

ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ექიმმა უილიამ შელდონმა, ხაზი გაუსვა სხეულის (ტანის) აგებულების მნიშვნელობას. იგი თვლიდა, რომ ზოგიერთი ჯიშის ძალს აქვს მიდრეკილება მისდოს ქცევის განსაზღვრულ ნიმუშებს. ასევე ადამიანებშიც სხეულის (ტანის) განსაზღვრული აგებულება ნიშნავს დამახასიათებელი პიროვნული ნიშან-თვისებების არსებობას. ენდემორფს (ზომიერი სისრული, რბილი(ნაზი) და რამდენიმე მომრგვალებული ტანის ადამი-ანს) ახასიათებს კომუნიკაბელობა, ურთიერთობების მოწესრიგება სხვა ადამიანებთან, და თავისი სურვილების მეზომორფი (ვისი სხეულიც გამოირჩევა ძალითა და აგებულებით, სიმყარით) ავლენს შფოთისადმი მიდრეკილებას, იგი აქტიურია და არც თუ ძლიერ მგრძობელი. და ბოლოს ეკტომორფი, რომელიც სხეულის სისუსტით და სიმყიფით გამოირჩევა, მიდრეკილება აქვს თვით ანალიზისადმი, და ახასიათებს მომეტებული მგრძობელობა და ნერვიულობა.

დაეყრდნო რა რეაბილიტაციის ცენტრში ორასი ყმაწვილის ქცევების კვლევის შედეგებს, შელდონმა გააკეთა დასკვნა, რომ ყველაზე უფრო დევიაციისადმი მიდრეკილი მეზომორფები არიან, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველთვის დამნაშავენი ხდებიან.

მართალია, მსგავსი ბიოლოგიური კონცეფციები პოპულარული იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ სხვა კონცეფციებმა ისინი თანდათანობით შეავიწროვეს. მიღებული იქნა მონაცემები იმის თაობაზე, რომ, ზოგიერთ თავისებურებებს შეუძლია გავლენა იქონიოს პიროვნების ფსიქიკაზე. მაგალითად თუ ბიჭს აბრაზებენ და დასცილიან სიდაბლის გამო, მაშინ

მისი საპასუხო რეაქცია შეიძლება საზოგადოებაზე აღმოჩნდეს მიმართული და დევიანტურ ქცევაში გამოიხატოს. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ბიოლოგიური ფაქტორები მხოლოდ ირიბად უწყობენ ხელს დევიაციას, ერწყმიან რა სოციალურსა და ფსიქიკურ ფაქტორებს. ამიტომ დევიაციის ნებისმიერი ბიოლოგიური ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მრავალი ფაქტორის რთული ერთობლიობა.

უკანასკნელ წლებში ბიოლოგიური ახსნები დევიანტის სქესობრივ ქრომოსომათა(20) ანომალიებზე ფოკუსირდება. ორმის შესაბამისად ქალს გააჩნია XI-ის ტიპის ორი ქრომოსომა, მაშინ როდესაც კაცებისათვის დამახასიათებელია X და Y- ის ტიპის თითო-თითო ქრომოსომის არსებობა. მაგრამ ზოგჯერ ცალკეულ ადამიანს აქვს Xან Yტიპის დამატებითი ქრომოსომები და ა.შ.) სპეციალიზირებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მამრობითი სქესის ადამიანების ქცევების შესწავლის საფუძველზე დაადგინეს, რომ დამატებითი ტიპის ქრომოსომის არსებობა დამახასიათებელია საშუალოზე მაღალი მამაკაცებისათვის, რომლებიც მძიმე ფსიქოპათები აღმოჩნდნენ. შემდგომი კვლევების საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ დამატებითი ქრომოსომების შემადგენლობის მქონე მამაკაცებს შორის უფრო მაღალი იყო სამართალდარღვევათა შემთხვევები,ვიდრე საკონტროლო ჯგუფში შემავალ ადამიანებში, რომელთაც არ გააჩნდათ დამატებითი ქრომოსომები. მაგრამ ტიპის ქრომოსომა შემადგენლობის მქონე მამაკაცები არ იყვნენ საშუალოზე მაღალი ზომის. გარდა ამისა ამ გამოკვლევამ დაამტკიცა მონაცემები, რომ ტიპის ქრომოსომათა შემადგენლობის მქონე მამაკაცთა შორის, უფრო იყო არა მკვლევლობებისათვის მსჯავრდებულნი, არამედ სხვისი საკუთრების მითვისებისათვის გასამართლებელი პირები. ამ მონაცემების საფუძველზე მკვლევარებმა ეჭვი გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ აგრესიისადმი გენეტიკური მიდრეკილებები ტიპის ქრომოსომების შემადგენლობის მქონე მამაკაცებში ხელს უწყობდეს დანაშაულობების ზრდას. ამასთან ერთად, მათ გაცილებით დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ (რაც დაადასტურა ინტელექტის დონის შეფასების ტექსტებმა).

თუმცა ეს მონაცემები ნდობას გვიჩენს, მაგრამ წარმოიშობა გარკვეული სიძნელებები მაშინ, როდესაც ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ შემადგენლობის მქონე მამაკაცებს უფრო მეტად აქვთ ბიოლოგიურად წინასწარგანსაზღვრული ტენდენცია კრიმინალური ქცევებისადმი, ვიდრე იმ მამაკაცებს, რომელთაც ქრომოსომათა ნაკრები აქვთ. შესაძლოა ზოგჯერ ასეთი მამაკაცების უჩვეულო, შემაშინებელი გარეგნობაც კი რაღაც ზომით ხელს უწყობდეს იმას, რომ მათ უფრო ხშირად აპატიმრებენ და დამნაშავედ ცნობენ, ვიდრე წესიერი გარეგნობის მქონე ადამიანებს. თუ ნამდვილად გავითვალისწინებთ მათი ინტელექტის განვითარების დონეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრომოსომების მქონე პირების დაჭერა დანაშაულის ადგილზე უფრო ადვილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვებზე ხშირად ჩადიან დანაშაულს.

ფსიქოლოგიური ახსნები

ფსიქოლოგიური ახსნები, ისევე როგორც ზემოთ განხილული ბიოლოგიური ახსნები, ხშირად გამოიყენება კრიმინალური ქცევის ასახსნელად. წარსულის მოაზროვნეები, რომლებიც ესწრაფვოდნენ დევიაციის ფსიქოლოგიურ ახსნას, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ე. წ. საერთო მდგომარეობების „გონებრივი დეფექტების“, „დეგენერატიულობის“, „ჰიქსუსუსტობის“, და

„ფსიქოპათიის“ მნიშვნელობას. კრიმინოლოგები ცდილობდნენ მეცნიერული მეთოდების დახმარებით დაედგინათ კავშირი დასახელებულ მდგომარეობებსა და კრიმინალიურ ქცევებს შორის. ფსიქოანალიტიკოსებმა შემოგვთავაზეს თეორია, რომელიც დევიანტურ ქცევებს აკავშირებდა ფსიქიკურ გადახრებთან. მაგალითად, ფროიდმა შემოიტანა ცნება „დამნაშავენი ბრალის გრძობით“ – საუბარია ადამიანებზე, რომელთაც სურთ რომ დაჭერილ იქნენ და დასჯილი იმიტომ, რომ ისინი თავს დამნაშავედ გრძობენ „ნგრევისადმი თავისივე ლტოლვისა“ გამო, ისინი დარწმუნებულნი არიან დაპატიმრება რალაცნაირი ზომით დაეხმარება მათ ამ ლტოლვის გადალახვაში. რაც შეეხება სექსუალურ დევიაციებს, მაშინ ზოგიერთი ფსიქოლოგი ფიქრობს, რომ ექსგიბიციონიზმი, სქესობრივი გარყვნილობები და განპირობებულია კასტრაციის განუსაზღვრელი შიშით. მაგალითად, ექსგიბიციონისტი აჩვენებს რა თავის სასქესო ორგანოს, შესაძლებელია იგი ამით რწმუნდება მის არსებობაში და დაცულობაში.

დაწვრილებითმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ დევიაციის არსებობის ახსნა მხოლოდ ფსიქოლოგიური ანალოგის საფუძველზე არ შეიძლება 1950 წლის შუესლერმა და კრესსიმ კრიტიკულად მიმოიხილეს მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა ავტორებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სამართალმრღვევებსა და დამნაშავეებს ახასიათებთ ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურება, რომელიც არ ახასიათებთ კანონმორჩილი ადამიანებს, მაგრამ ვერ იქნა გამოვლენილი არც ერთი ფსიქოლოგიური ნიშანი, მაგალითად ემოციური უმწიკვლობა, ფსიქიკური არამდგადობა ან შფოთი, რომელებიც შესამჩნევი იქნებოდა ყველა დამნაშავეში. დღეს ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა უმრავლესობა აღი-არებს, რომ პიროვნების თავისებურება-განსაკუთრებულობანი და მისი ქცევის მოტივები სერიოზულ გავლენას ახდენენ დევიანტური ქცევის ყველა სახეზე. მაგრამ როგორც ჩანს, რომელიმე ერთი ფსიქოლოგიური ნიშნის, კონფლიქტის ან “კომპლექსის, ანალიზის დახმარებით შეუძლებელია დანაშაულის ან დევიაციის ნებისმიერი სხვა ტიპის არსების ახსნა. უფრო სარწმუნოა ის, რომ დევიაცია წარმოიშობა მრავალი სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების შერწყმის შედეგად.

დანაშაული, როგორც სოციოლოგიის შესაწავლის საგანი

დევიაციის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ახსნები ძირითადად დევიანტური პიროვნების ბუნების ანალიზთან არის დაკავშირებული. სოციოლოგიური ახსნა კი ითვალისწინებს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს, რომელთა საფუძვლებზეც ადამიანებს დევიანტებად თვლიან.

ანომიის თეორია

დევიაციის პირველი სოციოლოგიური ახსნა გადმოცემული იყო ემილ დიურკემის მიერ დამუშავებულ ანომიის თეორიაში. დიურკემმა ეს თეორია თვითმკვლევლობის არსების შესახებ თავის კლასიკურ შრომაში გამოიყენა. იგი თვითმკვლევლობის ერთ - ერთ მიზეზად ანომიად (უნორმობა, უკანონობა) წოდებულ მოვლენას თვლიდა. ამ მოვლენის ახსნისას, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ადამიანთა ცხოვრების რეგულაციაში მნიშვნელოვან როლს სოციალური წესები და ნორმები თამაშობენ. ნორმები მართავენ მათ ქცევებს, მათ იციან თუ რას უნდა მოელოდნენ

სხვებისგან და მათგან რას მოელიან. ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება (ე.ი. მათი კმაყოფილება თუ იმედის გაცრუება), მეტნაკლებად შეესატყვისება სოციალური ნორმებით განპირობებულ მოლოდინებს. მაგრამ რადიკალური სოციალური ცვლილებების, მაგალითად საქმიანი აქტიურობის დაცემის ან შეუკავებელი ინფლაციის დროს ცხოვრებისეული გამოცდილება უკვე აღარ შეესატყვისება სოციალურ ნორმებში განხორციელებულ - გამოხატულ იდეალებს. ყოველივე ამის შედეგად ადამიანები დაბნეულობისა და დეზორიენტაციის მდგომარეობას განიცდიან. ადამიანთა ქცევებზე ანომიის ზემოქმედების დემონსტრირების მიზნით, დიურკემმა აჩვენა, რომ მოულოდნელი ეკონომიკური დაცემებისა და აღმასვლების დროს, თვითმკვლევლობის დონე, როგორც წესი, ჩვეულებრივზე მაღლა იწევს. მას მიაჩნდა, რომ მოულოდნელი დაცემა ან აღმასვლა დაკავშირებულია “წესრიგის დარღვევასთან”. სოციალური ნორმები ინგრევა, ადამიანები კარგავენ ორიენტაციას და - ყველაფერი ეს ხელს უწყობს დევიანტურ ქცევას.

თუმცა დიურკემის თეორია გააკრიტიკეს, მაგრამ ძირითადი აზრი იმის შესახებ, რომ სოციალური დეზორგანიზაცია დევიანტური ქცევების მიზეზია, საყოველთაოდ აღიარებულ რაიმედ ითვლება. ტერმინი “სოციალური დეზორგანიზაცია” აღნიშნავს საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, როდესაც კულტურული ღირებულებები, ნორმები და სოციალური ურთიერთკავშირები უფასურდებიან, სუსტდებიან ან ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ეს შეიძლება იყოს მაგალითად, სხვადასხვა რწმენის მქონე, სხვადასხვა გაგების მიმდევარი რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების შერევის თუ აღრევის შედეგი; ასეთი რამ შეიძლება აგრარული რაიონებიდან ქალაქში მიგრაციის მაღალი დონის დროს, რასაც აგრეთვე სოციალური კავშირების არაერთგვაროვნებასა და არამდგრადობასთან მივყავართ. თავიანთ კლასიკურ შრომაში შოუ-მ და მაკკეიმ დაადგინეს, რომ მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა ოფიციალური დონე განსაკუთრებით მაღალია ქალაქის იმ რაიონებში, სადაც სხვადასხვა წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ და მოსახლეობის დენადობის მაღალი რაოდენობა ფიქსირდება. ასეთი რაიონებისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ კონფლიქტი კულტურულ ღირებულებებს (რასაც მოლოდინთა ერთიანი მთლიანობის არარსებობასთან მივყავართ) შორის, არამედ სიძნელეები ჩნდება ნებისმიერი დაცვის დროსაც, და თანამდებობრივი პირები არც კი ცდილობენ მის განხორციელებას. ადამიანთა ქცევების შეფასების წინააღმდეგობრივი კრიტერიუმები და ხელისუფალთა მხრივ სუსტი კონტროლი მნიშვნელოვანი ზომით უწყობენ ხელს სამართალ დარღვევათა ზრდას.

შედარებით ახლახანს ანომიის თეორიამ ახალი გამოხატულება ჰპოვა ტრევის ხირშის (1969) მიერ შემოტანილ, “სოციოლოგიური დანიშვნის” ცნებაში. იგი ამტკიცებს, რომ რაც უფრო მეტი რაოდენობის ადამიანებს სჯერათ და სწამთ საზოგადოების მიერ მიღებული ღირებულებების (მაგალითად კანონთა სამართლიანობის), მით უფრო აქტიურად ცდილობენ ისინი წარმატებულად ისწავლონ, ესწრაფვიან მონაწილეობა მიიღონ სოციალურად მოწოდებულ ქმედებებსა და ღონისძიებებში (მაგალითად სკოლისგარეშე ღონისძიებებში), და რაც უფრო ღრმად მათი სიყვარული და დამოკიდებულება მშობლების, სკოლისა და თანატოლების მიმართ, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ისინი დევიანტურ ქცევებს ჩაიდენენ. 1300 თეთრკანიანი მოზარდის (12 დან 18 წლამდე) სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა

ხირშის თვალსაზრისის სისწორე, მაგალითად, მოზარდთა შორის, რომლებიც ისწრაფვოდნენ “მთლიანად დამსგავსებოდნენ საკუთარ მამებს” (მშობლების სიყვარულისა და ერთგულების განზომილება), 64 პროცენტს აქვს სამართალდარღვევათა ძალიან დაბალი დონე; ხოლო იმათ შორის, ვინც არ გამოავლინა მამებისადმი დამსგავსების სურვილი, ამ მაჩვენებელმა 41 პროცენტი შეადგინა. მაგრამ ეს დასკვნა არ დაადასტურა ჰინდელანდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელმაც აღმოაჩინა, რომ თანატოლებზე ძალიან დიდმა მიჯაჭვულობამ და ერთგულებამ ხელი შეუწყო სამართალდარღვევების ზრდას. ეს ნიშნავს, რომ თანატოლთა წევრები თუ ჯგუფები ნამდვილად არეგულირებენ თავისი წევრების ქცევას, მაგრამ მათვე შეუძლიათ წაახალისონ დანაშაულებრივი ქმედებაც.

რ. მერტონის ანომიის თეორია

რობერტ კინგ მერტონმა (1938) რამდენიმე ცვლილება შეიტანა დიურკემის მიერ შემოთავაზებულ ანომიის კონცეფციაში. იგი თვლის, რომ დევიაციის მიზეზია განხეთქილება საზოგადოების მიერ მიღებულ კულტურულ მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის სოციალურად მოწონებულ საშუალებებს შორის. მაგალითად, შეიძლება მოვიტანოთ საზოგადოებისადმი ამერიკელთა წინამძღვრობრივი დამოკიდებულება. ისინი ალტაცებით ეპყრობიან ფინანსურ წარმატებებს, სიმდიდრის მოპოვება ამერიკულ კულტურაში საყოველთაოდ მიღებულ მიზნად ითვლება. ამ მიზნის მიღწევის სოციალურად მოწოდებული ანუ ინსტიტუციონირებული საშუალებები გულისხმობენ ისეთ ტრადიციულ მეთოდებს, როგორებიცაა კარგი განათლების მიღება და სავაჭრო ან იურიდიულ ფირმაში სამუშაოზე მოწყობა. მაგრამ როდესაც ჩვენ ვეჯახებით საქმეების რეალურ ვითარებას ამერიკაში, ნათელი ხდება რომ ეს სოციალურად მოწოდებული საშუალებები მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუწვდომელია. მრავალ ადამიანს არ შეუძლია გადაიხადოს სათანადო თანხა კარგი განათლების მისაღებად, ხოლო საუკეთესო საწარმოო დაწესებულებებს სამუშაოზე მიღება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის შეუძლიათ. მერტონის თანახმად, როდესაც ადამიანები ესწრაფვიან ფინანსურ წარმატებებს, მაგრამ ამავე დროს რწმუნდებიან იმაში, რომ მისი მიღწევა სოციალურად მოწონებული საშუალებებით შეუძლებელია, მათ შეუძლიათ არაკანონიერ მეთოდებს მიმართონ, მაგალითად, რეკეტს, სპეკულაციას დოღზე ან ნარკოტიკებით ვაჭრობას. ჩვენ მერტონის თვალსაზრისს უფრო დაწვრილებით მომდევნო განყოფილებებში განვიხილავთ.

მეთოდები და განზომილებები - დანაშაულის კვლევა დანაშაულის მსხვერპლთა შესწავლის გზით

თითოეული ჩვენთაგანისთვის ცნობილია, რომ დანაშაულის დონე ახლა ამაღლდა. მაგრამ როგორია დანაშაულის დონე თანამედროვე ამერიკაში? როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს არავის ძალუძს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. პოლიციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები არის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო. მაგრამ რას მოწმობენ სინამდვილეში ეს მონაცემები? როდესაც პოლიციის სამართველო იუწყება დანაშაულის ზრდის შესახებ, ამ ადგილებში მცხოვრები მოსახლეები ხშირად განიცდიან შიშსა და განგაშს. ასეთმა უწყება - შეტყობინებებმა შეიძლება ვერ ასახოს დანაშაულის შესახებ არსებული რეალური

ვითარება. შესაძლოა, მათში ასახვას პოულობს ის ფაქტი, რომ დაკავებულია მეტი დამნაშავე, ან ადასტურებს იმას, რომ გაუმჯობესდა ინფორმაცია დანაშაულის შესახებ.

დღეს ჩვენ ვერ ვფლობთ სანდო მონაცემებს აქტივობის შესახებ. პოლიციის განკარგულებაში მყოფი სტატისტიკური მონაცემები, ემყარება დანაშაულისა და დაპატიმრების შესახებ მაგრამ ეს მაჩვენებლები არასაიმედოა არიან. ამავე დროს მრავალი დანაშაულის შესახებ არსადაც არ იუწყებიან - მაგალითად, გაუპატიურების მსხვერპლნი ხშირად თავს არიდებენ პოლიციისადმი მიმართვას.

სტატისტიკა არ ასახავს გაუხსნელ დანაშაულებებს, მაგალითად, საბაჟო ჩინოვნიკების მოსყიდვა. იგი ასევე არ ითვალისწინებს, რომ პოლიცია ეყრდნობა სხვა დაწესებულებების, მაგალითად, საავადმყოფოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზაციების მოქმედებებს. და რამდენადაც მრავალი დანაშაული გაუხსნელი რჩება, ამდენად დაპატიმრებათა რაოდენობის მიხედვით არ შეიძლება დანაშაულებათა საერთო დონეზე ვილაპარაკოთ. მკვლევარებისა და სასტიკი გაუპატიურებების შესახებ არ ახმაურებენ ექვმიტანილთა დაკავების დროს. მაგრამ რაც შეეხება დანაშაულის მრავალ სხვა სახეს, დაპატიმრებას ხშირად არც კი მოყვება გაკიცხვა და განსჯა. მაგალითად, ექვმიტანილთა დაკავების შემთხვევაში “იხსნება” ყველა გამარცხისა და ავტომობილთა გატაცებების მხოლოდ მეოთხედი. როგორც ჩანს, ოფიციალური მონაცემები არ ითვალისწინებენ მრავალ გაუხსნელ, გასაიდუმლოებულ დანაშაულებებს.

გაითვალისწინა რა ეს პრობლემა, მართლწესრიგის დაცვის საპრეზიდენტო კომისიამ სხვა გზა აირჩია გადაწყდა ყურადღება გაემახვილებინათ დანაშაულობების მსხვერპლთა გამოკითხვებზე. 1966 წელს ამ კომისიის რწმუნებულმა დაავალა ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი. კვლევის ცენტრს, ჩაეტარებინა 10 000 ოჯახის გამოკვლევა და გამოერკვია იყვნენ თუ არა ისინი როდესმე დანაშაულთა მსხვერპლნი. კომისიამ ასევე ფრიად ინტენსიურად შეისწავლა კრიმინოგენური ზონები მრავალ ქალაქში. შედეგები შემამრწუნებელი აღმოჩნდა. დადგინდა იქნა, რომ მსხვერპლი ორჯერ უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას გამოძიების ფედერალური ბიურო იუწყებოდა. სინამდვილეში მოხდა 3,5 ჯერ მეტი გაუპატიურებები და სამჯერ მეტი ძარცვები.

გამოკვლევებმა აგრეთვე დაადგინეს რომ კრიმინოგენურ რაიონებში ყოველწლიურად 100 000 მცხოვრებზე 10 000 დან 24 000 მდე დანაშაული ხდება. ეს ნიშნავს რომ თვით ყველაზე შემცირებული გათვლითაც კი ყოველი მეათე ადამიანი ყოველწლიურად ხდება დანაშაულის მსხვერპლი - ეს ციფრი 400 პროცენტით აღემატება პოლიციის მიერ მოწოდებულ მონაცემებს.

თუმცა ეს მონაცემები სავსეა დრამატიზმით, ისინი კი, როგორც ჩანს შემცირებულია. გამოკვლევის შედეგები არ ითვალისწინებს სავაჭრო ფირმებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს. შესაძლოა ასევე შემცირებული იყოს ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა რიცხვი. ადამიანური მეხსიერება ძლიერ არასანდო და არასაიმედოა. ადამიანებს შეუძლიათ დაივიწყონ სერიოზული დანაშაულებები რომლებიც დიდი ხნის წინ მოხდა. მით უფრო მათ არ ახსოვთ უმნიშვნელო ხასიათის მქონე დანაშაულებები. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნებიან ახალი პრობლემები, მაგრამ ისინი თანდათანობით იჭრებიან

კიდევ. დანაშაულებათა მსხვერპლის შესწავლა სასარგებლოა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ მიმართებების მხრივ. თეორიული თვალსაზრისით კვლევის მეთოდების სრულყოფა ნიშნავს ანალიზში როგორც სოციოლოგიური (შემოსავლების, განათლების, რასობრივი კუთხით) ისე ფსიქოლოგიური ფაქტორების (დამნაშავეთა მიმართ შიშსა და სამართალდამცველთა მიმართ დამოკიდებულებას) ჩართვას დანაშაულის მსხვერპლთა დამახასიათებელი ნიშან - თვისებების გამოსავლენად. შესაძლოა ეს დაგვეხმაროს იმის გარკვევაში, თუ რატომ ხდებიან ადამიანთა რაღაც ნაწილი უფრო ხშირად დანაშაულის მსხვერპლი ვიდრე სხვები.

პრაქტიკული თვალსაზრისით ამ გამოკვლევამ უფრო სწორი ცნობები უნდა მოგვცეს დანაშაულობათა დონის შესახებ - ასეთი ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიციის საქმიანობის დაგეგმვასა და დანაშაულთან ბრძოლის მიმართ საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების საქმეში. როდესაც იუწყებიან დანაშაულებათა ზრდის შესახებ, რიგითი მოქალაქე ასკვნის, რომ პოლიცია ვერ უმკლავდება თავის საქმეს. მაგრამ სინამდვილეში ხშირად პირიქით ხდება. დანაშაულის დაბალი დონე შეიძლება იმას ნიშნავდეს რომ პოლიცია ზერელედ უყურებს მრავალ დამნაშავე ელემენტთა საქმიანობას. დანაშაულის მსხვერპლთა შესწავლას ძალუძს საზოგადოებრიობას პოლიციელთა ძალისხმევის უფრო მართალი და სწორი სურათი დაუხატოს. უფრო მეტიც, სტატისტიკურ მონაცემთა მეორად ანალიზს ძალუძს კონტროლის თავისებურ სახედ გვემსახუროს. ახლა სამართალდამცავ ორგანოებს მონოპოლია აქვთ დანაშაულის შესახებ არსებულ მონაცემებზე, ეს კი ნიშნავს, მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესების შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების შეთხზვა. თუ საზოგადოებრიობა შეძლებს ინფორმაციის სხვა წყაროების მოპოვებას, მაშინ ასეთი ფალსიფიკაციის ალბათობა შემცირდება.

კულტუროლოგიური ახსნა

სოციალური დეზორგანიზაციის კონცეფციები განიხილავენ იმ სოციალურ ძალებს, რომლებიც ადამიანს უბიძგებენ დევნიაციის გზაზე. დევნიაციის ეგრეთ წოდებული კულტურული თეორიები არსებითად ზემოთხსენებულთა მსგავსია, მაგრამ მათგან განსხვავებით აქცენტს დევნიაციის ხელშემწყობ კულტურული ღირებულებების ანალიზზე აკეთებს, სხვა სიტყვებით, ძალებზე, რომლებიც ადამიანებს დევნიანტური ქცევებისადმი განაწყობს.

სელინმა (1938) ხაზგასმით აღნიშნა, რომ დევნიაცია კულტურის ნორმებს შორის კონფლიქტის შედეგად წარმოიქმნება. იგი სწავლობდა ცალკეულ ჯგუფთა ქცევებს, რომელთა ნორმებიც დანარჩენი საზოგადოების ნორმებისგან განსხვავდება. ეს განპირობებულია იმით, რომ ჯგუფის ინტერესები არ შეესატყვისება უმრავლესობის ნორმებს. მაგალითად, ისეთ სუბკულტურებში, როგორცაა ქუჩის ბანდები ან პატიმართა ჯგუფები პოლიცია ასოცირდება უფრო დამსჯელ ან მექრთამე ორგანიზაციასთან, ვიდრე წესრიგისა და კერძო საკუთრების დამცავ სამსახურთან. ასეთი ორგანიზაციის - ჯგუფის წევრი ითვისებს მის ნორმებს და ამგვარად, ხდება ნონკონფორმისტი საზოგადოების ფართო ფენების თვალსაზრისით.

მილერმა (1958) უფრო გააღრმავა სელინის იდეა კულტურასა და დევიანტურ ქცევას შორის ურთიერთკავშირის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ არსებობს საზოგადოების დაბალი ფენების ნათლად გამოხატული სუბკულტურა, რომლის ერთერთ გამოვლენას ჯგუფური დანაშაული წარმოადგენს. ეს სუბკულტურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა რისკისადმი მზაობა, ანუ რისკიანობა, ამტანობა, მძაფრი შეგრძნებებისადმი სწრაფვა და “ილბლიანობა”. რამდენადაც ბანდის წევრები თავიანთ ცხოვრებაში ამ ღირებულებებით ხელმძღვანელობენ, სხვა ადამიანები, და პირველ რიგში საშუალო ფენების წარმომადგენლები მათ როგორც დევიანტებს ისე ეპყრობიან.

სელინი და მილერი თვლიან, რომ დევიაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ინდივიდი თავის თავს აიგივებს სუბკულტურასთან, რომლის ნორმებიც ეწინააღმდეგება გაბატონებული კულტურის ნორმებს. მაგრამ მაშინ რატომაა, რომ მხოლოდ ზოგიერთი ადამიანი ითვისებს “დევიანტური” სუბკულტურის ღირებულებებს, მაშინ როდესაც სხვები უარყოფენ მას? ედვინ სატერლენდი (1939) შეეცადა აეხსნა ეს დიფერენცირებული ასოციაციის ცნების საფუძველზე. იგი ამტკიცებდა რომ დანაშაულებები (დევიაციის ფორმა, რომელიც მას პირველ რიგში აინტერესებდა) შეისწავლებიან, უფრო სწორედ ხდება მათი დასწავლა. ადამიანები ითვისებენ დევიაციის ხელშემწყობ ღირებულებებს ამ ღირებულებების მატარებელ ადამიანებთან ურთიერთობების მსვლელობისას. ამ თუ იმ ადამიანის მეგობრების და ნათესავების უმრავლესობა დანაშაულებრივ საქმეებს მისდევენ, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ისიც დამნაშავე გახდება.

სატერლენდის თეორია მნიშვნელოვნად ზუსტი და ღრმაა, ვიდრე ჯანსაღი აზრით ნაკარნახევი დარწმუნებულობა იმაში, რომ დევიაცია - ეს არის ინდივიდის ცუდ კომპანიაში თუ ჯგუფში მოხვედრის შედეგი. კრიმინალური დევიაცია უპირველესად დანაშაულებრივი ნორმების მატარებელთან ურთიერთობის რეზულტატია. უფრო მეტიც, სატერლენდმა დაწვრილებით აღწერა ის ფაქტორები, რომელთა შერწყმაც ხელს უწყობს კრიმინალურ ქცევას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამაში მნიშვნელოვან და სერიოზულ როლს თამაშობენ არა უპიროვნო ორგანიზაციებთან ან ინსტიტუტებთან (მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოებთან ან ეკლესიასთან) კონტაქტები, არამედ ყოველდღიური ურთიერთობა სკოლაში, სახლში ან მუდმივი ქუჩური თავყრილობა - შეხვედრებზე. ქალაქის გეტოდან გამოსული ახალგაზრდები, რომლებიც ურთიერთობენ ქუჩის ბანდების წარმომადგენლებთან, ნარკოტიკების გამყიდველებთან და მეძავეებთან უფრო ხშირად, ვიდრე თავიანთ კანონმორჩილ მშობლებთან და იმ ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც კარგი განათლების მიღებას ესწრაფვიან, უფრო დიდი მიდრეკილება აქვთ მოიწონონ დანაშაულებრივი ქმედებები. დევიანტებთან კონტაქტების სიხშირე, აგრეთვე მათი რაოდენობა და ხანგრძლივობა გავლენას ახდენს ადამიანის მიერ დევიანტურ ღირებულებათა ათვისების ინტენსივობაზე. მნიშვნელოვან როლს აგრეთვე ასაკიც თამაშობს. რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, მით უფრო დიდი მზაობით ითვისებს იგი სხვების მიერ თავსმოხვეულ ქცევის ნიმუშებს.

კლაუროდი და ოულინი, ისევე როგორც სატერლენდი, თვლიან, რომ სამართალდარღვევათა მიზეზები არა მხოლოდ სოციალურ დეზორგანიზაციასა და იდეალების მსხვრევაშია. ისინი მიუთითებენ კეთილსასურველ შესაძლებლობებზე, რომელსაც დევიანტური

ქცევა გვპირდება, განსაკუთრებით მაშინ თუ იგი რეალურ გამდიდრებას წარმატებას გვიქადის. საქმიანობის ზოგიერთ სფეროებში ყმაწვილები წარმატებულ დევიანტთა როლურ მოდელებს ითვისებენ - საუბარია ადამიანებზე, რომლებიც ორგანიზებულ ან პროფესიონალურ დანაშაულობებში მონაწილეობენ, მათ მოიპოვეს გავლენა, პრესტიჟი და მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში. ხშირად ასეთი ადამიანები ნარკოტიკების ორგანიზებული ვაჭრობით და დანაშაულებრივი საქმიანობის სხვა სახეებით არიან დაკავებულნი, და მათში ითრევენ ახალგაზრდებს. გამდიდრების შესაძლებლობა აცდუნებს ადამიანებს, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ წარმატების მოპოვების კანონიერ საშუალებებზე.

სტიგმატიზაციის თეორია (იარლიყების მიკერება ანუ დადაღვა)

აქამდე განხილული თეორიები ძირითადად დევიანტის პიროვნული თავისებურებების, აგრეთვე დევიაციის ხელშემწყობ სოციალური და კულტურული ფაქტორების ანალიზზეა დაფუძნებული. მაგრამ ამ ბოლო წლებში დევიაციის კვლევაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი მიდგომა, რომლებიც ძირითადად ყურადღებას აქცევენ იმათ, ვინც ადამიანს დევიაციის თვალსაზრისით აფასებს, აგრეთვე იმაზე თუ როგორ ექცევიან იმ ადამიანს, რომელსაც "დევიანტის" იარლიყს აკრავენ.

გ. ბეკერმა ზემოთხსენებული თეორიების საპირისპირო კონცეფცია შემოგვთავაზა თავის წიგნში "აუტსაიდერები" (1963). მან დევიაციის მრავალი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ახსნა უარყო, რამეთუ ისინი დაფუძნებულია "სამედიცინო მოდელებზე", რომლის თანახმად ადამიანი, რომელიც დევიანტურად იქცევა რაღაც აზრით "ავადმყოფად" ითვლება. ასეთი მიდგომები არ ითვალისწინებენ დევიაციის პოლიტიკურ ასპექტებს. ბეკერი თვლიდა, რომ დევიაცია სინამდვილეში განპირობებულია საზოგადოების გავლენიანი ჯგუფების უნარით (იგულისხმება კანონმდებლები, მოსამართლეები, ექიმები) თავს მოახვიონ სხვებს ქცევის გარკვეული სტანდარტები. "სოციალური ჯგუფები ქმნიან დევიაციას – წერდა იგი – რამდენადაც ისინი იცავენ წესებს, რომელთა დარღვევაც დევიაციად ითვლება. გარდა ამისა ისინი წესებს თავს ახვევენ ადამიანებს, რომელთაც აუტსაიდერთა იარლიყებს აკრებენ." ამ თვალსაზრისით დევიაცია ქცევის თვისება კი არ არის, არამედ უფრო "დამრღვევის" წინააღმდეგ სხვა ადამიანთა მიერ გამოყენებული სანქციების შედეგია.

ბეკერის კონცეფციას და მის მსგავს თეორიებს სტიგმატიზაციის (იარლიყების მიკერების) თეორიებს უწოდებენ, რადგან ისინი დევიანტურ ქცევას გავლენის მქონე ჯგუფების იმ უნარებით ხსნიან, რომლის მეშვეობითაც ნაკლები გავლენის მქონე ჯგუფების წევრებს "დევიანტის" დაღს აკრავენ. ადამიანს შეიძლება მოექცნენ ისე, თითქოს იგი არღვევდეს წესებს (თუნდაც ეს სინამდვილეს არც კი შეესაბამებოდეს) მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ადამიანები ამტკიცებენ, რომ ეს წესი დარღვეულია. სწორედ ასე მოექცნენ ზანგებს ამერიკაში. ისინი განიცდიდნენ დევნას, ზოგჯერ კი ლინჩის წესით გასამართლებას თეთრკანიანი ქალების გაუპატიურების ყალბი ბრალდებების გამო. მოკლედ, ბეკერმა გამოთქვა აზრი, რომ მსჯელობა იმის თაობაზე, ითვლება თუ არა ესა თუ ის ქცევა დევიანტურ რაიმედ განპირობებულია მისი ხასიათით (ლაპარაკია იმაზე, დაკავშირებულია თუ არა იგი რომელიმე წესის დარღვევასთან), აგრეთვე იმით, თუ როგორ აფასებენ მას სხვა ადამიანები".

ადამიანთა უმრავლესობა არღვევს ზოგიერთ სოციალურ წესს. მოზარდს შეუძლია მარიხუანა შერეული სიგარეტი მოწიოს. ადმინისტრატორი ანგარიშზე მიწერებს აკეთებს, ვიღაცა ჰომოსექსუალიზმს ეწევა. დასაწყისში გარემომცველი ადამიანები ასეთ ქცევებს თითქოსდა ვერ ამჩნევენ, ხოლო წესების დამრღვევი ადამიანი, უფრო მეტად, თავს დევიანტად არ თვლის. ლემერტი (1951) ქცევის ამ ტიპს პირველად დევიაციას უწოდებს. მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ მეგობარი, ოჯახის წევრი, კოლეგა ან სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლები გაიგებენ ასეთი ქცევების შესახებ და სხვებს გააგებინებენ? ხშირად ამას მივყავართ იმასთან, რასაც მეორად დევიაციას უწოდებენ: ადამიანს დევიანტის იარლიყს აწებებენ – ასვამენ; გარემომცველი ადამიანები მასთან უკვე როგორც დევიანტთან იწყებენ ურთიერთობას, თანდათანობით თვითონაც ეჩვევა საკუთარი თავის დევიანტად ჩათვლას და ამ როლის შესატყვისადაც იქცევა.

რას წარმოადგენენ, ვინ არიან ისინი, ვისაც ძალუძს აიძულოს სხვები თავის წესებს დაემორჩილონ? ბეკერი ამტკიცებს, რომ ეს დამოკიდებულია პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განაწილებაზე. მაგალითად ფსიქიატრები ადგენენ წესებს, რომელთა შესაბამისადაც ადამიანებს ფსიქიურად არასრულფასოვან ადამიანებად თვლიან. ბევრი აგრეთვე ხაზს უსვამს ეგრედწოდებული "ზნეობრიობისათვის მებრძოლთა როლს" , რომლებიც "ჯვაროსნულ ლაშქრობებს" აწყობენ და თუ ისინი იმარჯვებენ, მაშინ იქმნება წესების ახალი სისტემა და ხდება ახალი დევიანტების გამოვლენაც. აშშ-ს კონსტიტუციაში მე-18 შესწორება, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა კანონი სპირტიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვის შესახებ, წარმოიშვა სწორედ ასეთი "ჯვაროსნული ლაშქრობების" შედეგად (ბეკერი 1963). განსხვავებით იმ კონცეფციებისაგან, რომლებიც ძირითადად ყურადღებას დევიაციის ხელშემწყობ ინდივიდუალურ თავისებურებებზე ამახვილებენ, სტიგმატიზაციის თეორია გვიხსნის თუ როგორ ყალიბდება ადამიანებისადმი, როგორც დევიანტებისადმი დამოკიდებულება.

ამ თეორიას ხშირად აკრიტიკებენ. გოუვი და სხვა მკვლევარები თვლიან რომ მისი მომხრეები "დგანან ბეჩავი ადამიანების" მხარეზე, რომლებიც საზოგადოების ფსკერზე აღმოჩნდნენ და არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ იმათ, ვინც მათ დევიანტის იარლიყს აკერებს. შედარებით ახლახანს პივენმა (1981) აღნიშნა, რომ ამ კონცეფციის მომხრეები რალაცნაირი ზომით აზვიადებენ დევიანტების პასიურობას და მათ უუნარობას ებრძოლონ მმართველ კლასებს. იგი ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ცნობილია მრავალი ადამიანი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევს და ხშირად წარმატებითაც, ხელისუფალთა მცდელობას დაამცირონ და დააჩოქონ ამგვარი ადამიანები. მას მოყავს ამერიკის სამხრეთის ზანგთა ბრძოლის მაგალითი, რომლებიც უარყოფენ საზოგადოების მიერ თავსმოხვეულ ნორმებს და აწყობენ ბოიკოტებს, მჯდომარე გაფიცვებს და საპროტესტო მარშებს. პივენის თვალსაზრისით დევიაცია გაცილებით მეტად გულისხმობს კონფლიქტს, ვიდრე ამას იარლიყების მიკერების თეორიის წარმომადგენლები ვარაუდობენ.

კონფლიქტოლოგიური მიდგომა

დევიაციისადმი კიდევ უფრო ნათლად გამოხატული პოლიტიკური მიდგომა აირჩია სოციოლოგების ჯგუფმა, რომლებიც თავს "რადიკალურ კრიმინოლოგებს" უწოდებენ. ისინი უარყოფენ დანაშაულის ყველა თეორიას, რომლებიც მას როგორც საყოველთაოდ მიღებული

კანონების დარღვევად განმარტავენ. ამტკიცებენ რომ ასეთი კონცეფციები საზოგადოებას ახასიათებენ როგორც აბსოლუტურად ერთიან მთლიანობას. მათი თვალსაზრისით თანახმად კანონების შექმნა და მათდამი მორჩილება საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის მიმდინარე კონფლიქტის შემადგენელი ნაწილია. ამ კონფლიქტის არსის ასახსნელად, ოსტინ ტურკმა (1969) შემდეგი საბუთი მოიყვანა: როდესაც ხელისუფლებასა და მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიას შორის წარმოიშვება კონფლიქტი, ხელისუფალნი ჩვეულებრივ მაიმულებელი ზომების ვარიანტს ირჩევენ. მაგალითად, პოლიციის თანამშრომლები უფრო მეტად იყენებენ მათი საკუთარი სუბკულტურის შესაბამის კანონებს (ვთქვათ ჰომოსექსუალიზმის ამკრძალავს), ვიდრე ისინი რომლებიც უპირისპირდებიან მას (მაგალითად ადამინის უფლებების დამცველნი). გარდა ამისა, პოლიცია პირველ რიგში იყენებს ღარიბების, ბეჩავი და ხელისუფლებისაგან შორს მყოფი ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ კანონებს, ანუ იმათ წინააღმდეგ ვისი დათრგუნვაც წინააღმდეგობის გაწევის გარეშე შეიძლება.

კვინი (1977) მოცემულ პრობლემას მარქსისტული თვალსაზრისით განიხილავს. იგი ამტკიცებს რომ სამართალდამცავ ორგანოთა კანონები და საქმიანობა – ესაა იარაღები, რომლებსაც მართველი კლასები (წარმოების საშუალებების მფლობელები) იყენებენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ძალაუფლებას მოკლებულია. მაგალითად XII-ე საუკუნეში მიიღეს მაწანწალობის ამკრძალველი კანონი, რაც განპირობებული იყო მიწისმფლობელთა მისწრაფებით, ეიძულებინათ ბეჩავი ადამიანები ემუშავათ, ვინაიდან იმ დროს ყოველი მეათე მომუშავე ილუპებოდა შავი ჭირისგან ან მიყავდათ ჯვაროსანთა რაზმებში (ჩემბილისი 1964). შემდეგ კვინი ხაზს უსვამს, რომ თვით ის კანონებიც კი, რომლებიც თითქოსდა ეწინააღმდეგებიან მმართველი კლასების ინტერესებს (მაგალითად, XX-ს 30-იან და 40-იან წლებში მიღებული კანონმდებლობა, რომელიც მხარს უჭერდა პროფკავშირების მოთხოვნებს), სინამდვილეში ამ ინტერესებს ემსახურება. ვინაიდან ასეთი კანონმდებლობა რომ არ ყოფილიყო მიღებული, შეიძლება რევოლუციური აფეთქება მომხდარიყო, რაც სოციალური წყობის ძირფესვიანად შეცვლასთან მიგვიყვანდა.

ამგვარად, "რადიკალური კრიმინოლოგია" არ ინტერესდება იმით, თუ რატომ არღვევენ ადამიანები კანონებს, არამედ მას აინტერესებს თვით საკანონმდებლო სისტემის არსება. უფრო მეტიც, ამ თეორიის მომხრეები "დევიანტებს" განიხილავენ არა როგორც საყოველთაოდ მიღებული წესების დამრღვევთ, არამედ როგორც უფრო მეამბოხეებს, რომლებიც გამოდიან კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც ისწრაფვის იზოლაცია გაუკეთოს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ციხეებში და არასრულწლოვანთა კოლონიებში მოათავსოს თავისი წევრების უმრავლესობა, რომელთაც თითქოსდა კონტროლი ჭირდებათ (ტეილორი და სხვები 1973).

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ღრმა განსხვავებები არსებობს დევიაციის ამხსნელ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ კონცეფციებს შორის (ნახეთ ცხრილი 7-2). მაგრამ ყველა ამ თეორიისათვის საერთო ტენდენციაა დამახასიათებელი, რომლებსაც ჩვენ მე-10 და მე-18 თავებში განვიხილავთ. უკანასკნელ ხანებში ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანებს დევიანტური ქცევებისადმი "უბიძგებენ". უახლესი თეორიები, განსაკუთრებით "ახალი კრიმინოლოგია" აქცენტს საზოგადოების

ხასიათზე აკეთებენ და ესწრაფვიან გამოავლინონ თუ რა ზომით არის საზოგადოება დაინტერესებული დევიაციის შექმნასა და შენარჩუნებაში.

უახლოესი თეორიები გაცილებით უფრო კრიტიკულები არიან არსებული სოციალური წყობისადმი, ისინი ასაბუთებენ არა ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი საზოგადოების გამოსწორების აუცილებლობას.

ცხრილი 7-2. დევიაციის თეორიები.

ახსნის ტიპები	თეორია	ავტორი	ძირითადი იდეა
ბიოლოგიური		ლომბროზო	ფიზიკური ნიშან _ თვისებები კავშირშია დანაშაულებრივ მიდრეკილებებთან
ბიოლოგიური		შელდონი	სხეულის განსაზღვრული წყობა აგებულება ყველაზე ხშირად დევიანტებს შორის გვხვდება. ფიზიკური თავისებურებები დევიაციის მიზეზებს წარმოადგენენ.
ფსიქოლოგიური	ფსიქონალიზის თეორია	ფროიდი	პიროვნებისათვის დამახასიათებელი კონფლიქტები იწვევენ დევიაციას
სოციოლოგიური ანომია	სოციოლოგიური	დიურკემი	დევიაცია, კერძოდ თვითმკვლელობა, ხდება ნათელი სოციალური ნორმების დარღვევის ან არარსებობის გამო, შედეგად
სოციალური დეზორგანიზაცია	სოციოლოგიური	შოუ და მაკკეი	მრავალი სახის დევიაცია წარმოიქმნება იმ შემთხვევაში როდესაც კულტურული ღირებულებები, ნორმები და სულიერი კავშირები ირღვევა, სუსტდება ან წინააღმდეგობრივნი ხდება
ანომია	სოციოლოგიური	მერტონი	დევიაცია იზრდება, როდესაც სახეზეა განხეთქილება მოცემული კულტურის მიერ აღიარებულ მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის სოციალურ ნორმებს შორის.
კულტუროლოგიური		სელინი, მილერი, სატერლენდი, კლაუროდი და ოულინი	დევიაციის მიზეზია კონფლიქტი გაბატონებული კულტურისა და სუბკულტურის ნორმებს შორის.
	სტიგმატიზაციის თეორია (დალდასმა)	ბეკერი	დევიაცია თავისებრი სახის დაღია, რომლებსაც ძალაუფლების მქონე ჯგუფები ასმევენ ნაკლებდაცული ჯგუფების ქცევებზე.
	რადიკალური კრიმინოლოგია	ტურკი, კვინი, ტეილორი, უოლტონი	დევიაცია კაპიტალისტური საზოგადოების ნორმებისადმი დაპირისპირების შედეგია.

დევიაციის ტიპები

დევიანტური ქცევების ტიპოლოგიზაცია დაკავშირებულია სიმძლეებთან, ვინაიდან ნებისმიერი მისი გამოვლენა - აბორტის გაკეთება, სპირტიანი სასმელებისაკენ მიდრეკილება, ღორის ხორცის ჭამა და ა.შ. - შეიძლება ჩავთვალოთ როგორც დევიანტურ ისე არადევიანტურ ქცევებად; ყველაფერი ნორმატიული მოთხოვნებით განისაზღვრება, რომელთა საფუძველზეც ისინი შეფასდებიან. ამიტომ ალბათ აზრი არ აქვს ვეცადოთ აბსოლუტურად დევიანტური ქცევების ზუსტი კლასიფიკაციის შედგენას, თუმცა ზოგიერთი მათგანი, მაგალითად გაუპატიურება და სისხლის აღრევა, ადამიანთა უმრავლესობის მიერ (მაგრამ არა ყველას) დევიანტურად ითვლება. როგორი წესით მოვახდინოთ დევიანტური ქცევების ტიპოლოგიზირება?

როგორც ჩანს დევიანტური ქცევების მერტონის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია დღემდე საუკეთესოა და წარმატებულ ყველა კლასიფიკაციათა შორის. ჩვენ უკვე გავცანით მის კონცეფციას - დევიაცია წარმოიშვება ანომიის შედეგად, კულტურულ მიზნებსა და მათი მიღწევის სოციალურად მოწონებულ საშუალებებს შორის განხეთქილებისა გამო. ამოდის რა ამისგან მერტონი აგებს დევიანტური ქცევების ტიპოლოგიას. იგი წარმოდგენილია 7-3 ცხრილის სახით.

მერტონის სისტემაში, ტოტალური კონფორმიზმი გულისხმობს თანხმობას, როგორც საზოგადოების მიზნებსა, ისე მათი მიღწევის კანონიერ საშუალებებთანაც. ახალგაზრდა კაცი ან ქალი, რომლებმაც მიიღეს კარგი განათლება, პოულობენ პრესტიჟულ სამუშაოს და წარმატებით მალდებიან და აწინაურებენ სამსახურეობრივ კიბეზე - ესაა კონფორმიზმის განსახიერება. ისინი ისახავენ მიზანს (ვთქვათ, ფინანსურ წარმატებას) და აღწევენ მას კანონიერი საშუალებებით. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კონფორმიზმი წარმოადგენს არადევიანტური ქცევის ერთადერთ ტიპს.

მეორე შესაძლო რეაქციას ინოვაციას უწოდებენ; იგი გულისხმობს მოცემული კულტურის მიერ მოწონებულ მიზნებთან თანხმობას, მაგრამ უარყოფს მათი მიღწევის სოციალურად მოწონებულ წესებსა და საშუალებებს. "ინოვატორი" იყენებს ახალ, მაგრამ სიმდიდრის მიღწევის არაკანონიერ საშუალებებს. იგი ეწევა რეკეტს, შანტაჟს ან ჩადის ე.წ. "თეთრსაყელოიანთა დანაშაულებებს" (უცხო ფულის გაფლანგვისა და ხარჯვის მსგავსად).

მესამე რიტუალიზმად წოდებული რეაქცია გულისხმობს მოცემული კულტურის მიზნების უარყოფას, მაგრამ თანახმაა (ზოგჯერ აბსურდამდე დაყვანილი) გამოიყენოს სოციალურად მოწონებული საშუალებები. ბიუროკრატი, რომელიც ფანტასტიკურად ერთგულია თავის საქმისა, გვარიგებს, რათა თითოეული ბლანკი დაწვრილებით იქნას შევსებული, ორჯერ შემოწმებული და ოთხ ეგზემპლიარად აკინძული. ბოლოსდაბოლოს იგი მკაცრი ბიუროკრატიული სისტემის მსხვერპლი ხდება და სასოწარკვეთილებისაგან ლოთდება. ეს კი სწორედ იმის გამო ხდება, რომ იკარგება საქმიანობის მიზანი - რისთვისაც ყველაფერი ეს კეთდება.

მეოთხე, სინამდვილისაგან გაქცევის (რეტრეატიზმად) წოდებული რეაქცია, შეიმჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ერთდროულად უარყოფს როგორც მიზნებს, ისე მათი მიღწევის

სოციალურად მოწონებულ საშუალებებს. რეტრიტიზმის ყველაზე ნათელი გამოვლინებები ხდებიან მარგინალები: ბრადიაგები (მაწანწალები), ლოთები, სულითავადმყოფები, ნარკომანები და სხვა.

და ბოლოს ამბოხი (ბუნტი), სინამდვილისაგან გაქცევის მსგავსად, ისიც ერთდროულად უარყოფს როგორც კულტურულ მიზნებს, ისე სოციალურად მოწონებულ მათი მიღწევის საშუალებებს. მაგრამ მას მივყავართ ძველი მიზნებისა და საშუალებების ახლით შეცვლასთან: ვითარდება ახალი იდეოლოგია (ის შეიძლება იყოს რევოლუციური), მაგალითად, კერძო საკუთრების გამომდევნ და შემავიწროებელ საზოგადოებრივი საკუთრების სისტემას, რევოლუციონერი უფრო კანონიერად თვლის ვიდრე არსებულს.

მერთონის კონცეფცია მნიშვნელოვანია უწინარეს ყოვლისა, იმიტომ რომ იგი კონფორმიზმსა და დევიაციას განიხილავს როგორც ერთი მედლის ორ მხარეს და არა როგორც ცალკეულ კატეგორიებს. მასში ასევე ნაჩვენებია, რომ დევიაცია არ არის საზოგადოდ მიღებული სტანდარტებისადმი აბსოლუტურად ნეგატიური დამოკიდებულების პროდუქტი, როგორც ამის შესახებ ხშირად ფიქრობს მრავალი ადამიანი. ქურდი არ უარყოფს მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის სოციალურად მოწონებულ მიზანს. იგი ისევე აღტაცებით შეიძლება ეპყრობოდეს ამ მიზანს, როგორც ახალგაზდა ადამიანი, რომელიც წარმატებით მაღლდება სამსახურეობრივ კიბეზე. რიტუალიზმის განმსახიერებელი ბიუროკრატი, არ უარყოფს საზოგადოდ მიღებულ წესებს, მაგრამ მათ ძალიან ზედმიწევნით დეტალებსა და წვრილმანებში ასრულებს, რითაც ის აბსურდამდე დაყავს, მაგრამ ორივე ეს ადამიანი დევიანტურ ქცევებს ავლენს.

ცხრილი 7-3. დევიაციის მერთონისეული ტიპოლოგია

შეგუების წესები და ხერხები	საზოგადოების მიერ მოწონებული მიზნები	სოციალურად მოწონებული საშუალებები
კონფორმიზმი	+	+
ინოვაცია	+	-
რიტუალიზმი	-	+
რეტრიტიზმი (სინამდვილიდან გაქცევა)	-	-
ამბოხი	+	+

შენიშვნა: პლიუსი ნიშნავს თანხმობას, მინუსი _ უარყოფას. მაგალითად, კონფორმული ქცევა ხასიათდება იმით, რომ ადამიანი ერთდროულად მხარს უჭერს და იცავს როგორც კულტურულ მიზნებს, ისე მათი მიღწევის სოციალურად მოწონებულ საშუალებებს.

წყარო: R. K. Merton. Social Theory and Social Structure - N.Y. 1957. p.140

შენიშვნა: პლიუსი ნიშნავს თანხმობას, მინუსი - უარყოფას. მაგალითად, კონფორმული ქცევა ხასიათდება იმით, რომ ადამიანი ერთდროულად მხარს უჭერს და იცავს როგორც კულტურულ მიზნებს, ისე მათი მიღწევის სოციალურად მოწონებულ საშუალებებს.

დევიაცია როგორც განვითარების პროცესი

ჩვენს მიერ განხილული თეორიებიდან თითოეულში გამოიყოფა დევიაციის განსხვავებული ასპექტები, მაგრამ ამავე დროს ყველა სხვა მიდგომა კრიტიკას ექვემდებარება. ამ მიდგომების მოწესრიგება შესაძლებელია თუ დევიაციას როგორც განვითარების პროცესს ისე შევხედავთ. ასეთი წესით შეიძლება განვსაზღვროთ დევიანტური ქცევის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდამავალი მომენტების (ან სულაც სტადიების) მთელი რიგი.

ჩვენ დევიანტური "კარიერის" განვითარებაში რვა ფაქტორს განვიხილავთ:

1. ნორმების შექმნა
2. ნორმების არსი
3. დევიანტური ქცევის შესრულება
4. ქცევის დევიანტურად აღიარება
5. ადამიანის დევიანტად აღიარება
6. სტიგმატიზაცია (დალის დასმა)
7. სტიგმატიზაციის შედეგები
8. დევიაციის კოლექტიური ფორმები

ნორმების შექმნა

ჩვენ უკვე ავლნიშნეთ, რომ ნორმები და წესები ხშირად თავისებური ზნეობრივი "ჯვაროსნული ლაშქრობების" შედეგად იქმნება. სწორედ ასე წარმოიშვა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის კონცეფცია. იმ დროს ოჯახური და ყოფითი წყობის გამამაგრებელი ბურჯები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ, რაც ინდუსტრიალიზაციითა და მზარდი ურბანიზაციით იყო გამოწვეული. ნაწილობრივ ამას ხელს უწყობდა იმიგრანტების დიდი რაოდენობის მოზღვავება ქალაქად. საზოგადოების საშუალო ფენების წარმომადგენელი ქალები, რომლებიც ამ მოძრაობაში იყვნენ ჩართულნი, თვლიდნენ რომ ახალგაზრდებს ჭირდებათ მკაცრი ზედამხედველობა და დაცვა არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მორალური საშიშროებებისაგან. მათ განსაკუთრებით მუშათა ბავშვების ბედი აღელვებდათ. ამ საზოგადო მოღვაწე ქალთა აზრით, ბავშვებისათვის უფრო უკეთესი იქნებოდა ეცხოვრათ იმ "მანკიერი წრის" გარეშე, რომელშიც გაიზარდნენ, მათი "გაბედნიერება" შეეძლოთ, ვთქვათ არასრულწლოვანთა კოლონიებში "რეაბილიტაციას". უეჭველია, რომ ამერიკელი ახალგაზრდობის ცუდი გავლენისაგან გადარჩენის "კეთილშობილურმა" მისწრაფებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა ქალების აქტიურობისათვის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ მიაქციეს რა განსაკუთრებული ყურადღება არა ღირსეული ქცევის ახალ ტიპებს, "ახალგაზრდობის გადასარჩენად მებრძოლებმა" ფაქტობრივად "გამოიგონეს"

არასრულწლოვანთა დამნაშავეების პრობლემა და დევიაციის ახალი ტიპი "შექმნეს". ამ "პრობლემის" გადაჭრის მიზნით მიღებული იქნა ახალი კანონები, რასაც თან მოყვა არასრულწლოვანთა საქმეებთან დაკავშირებული სასამართლოების შექმნა.

ნორმების არსი

საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა ნორმები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიმკაცრის ხარისხით და მათი დარღვევაც სხვადასხვა სახის სასჯელს იმსახურებს. ზოგიერთი ნორმის დაცვა კონტროლდება იმ ჯგუფების მიერ, რომლებსაც მიეკუთვნება ადამიანი – მხედველობაში გვაქვს მეგობრები, ოჯახი და თანამშრომლები. მაგალითად, ხმამაღალი მეტყველება, ალბათ, გამოიწვევს მეგობართა ან ოჯახის წევრთა გაბრაზებულ შენიშვნას, ხოლო სამუშაოზე დაგვიანებამ შეიძლება ხელფასის რაღაც ნაწილის დაკავება – ჩამოჭრა გამოიწვიოს. სხვა ნორმების დაცვა კონტროლდება სახელმწიფოს მიერ – ამ ფუნქციას ახორციელებენ ისეთი სამართალდამცავი ორგანოები, როგორებიცაა სასამართლოები და ციხეები. ავტომობილისტებმა არ უნდა გადააჭარბონ სიჩქარის დასაშვებ ზღვარს. ამ ნორმის დარღვევისათვის მათ აჯარიმებენ (თუ სიჩქარის გადაჭარბება აღმოაჩინეს). ზოგიერთი ნორმა სავსებით გარკვეული და განსაზღვრულია. ასე, მაგალითად, პროფესორმა დროზე უნდა დაიწყოს და დაამთავროს ლექციის კითხვა. სხვა ნორმები გაურკვეველობა განუსაზღვრელობით გამოირჩევიან. მაგალითად, ითვლება, რომ მრავალმა პროფესორმა უნდა გამოაქვეყნოს თავისი შრომები, მაგრამ არ არსებობს ნათელი და გარკვეული წესები, რომლებიც მიგვითითებენ თუ რა და როდის უნდა გამოაქვეყნონ მათ. ჩვეულებრივ გარკვეული და ნათელი ნორმების დარღვევას უფრო განსაზღვრული სანქციები მოყვება, ვიდრე არანათელ ნორმათა დარღვევას. ზოგიერთი ნორმა ერთმნიშვნელოვან ქცევას გულისხმობს, მაშინ როდესაც სხვები არჩევანის შესაძლებლობას უშვებენ. ფეშენებლურ რესტორანში წასვლისას, მამაკაცებმა კოსტუმი და ჰალსტუხი უნდა ჩაიცვან და გაიკეთონ, მაშინ როდესაც კონცერტზე შეგვიძლია ვიაროთ რითაც გავგიხარდებთ. გარდა ამისა, ზოგიერთი ნორმა კრძალავს ქცევის კონკრეტულ სახეებს – მაგალითად, ხანძრის გაჩენას ან გადასახადებისაგან თავის არიდებას. ჩვენი სისხლის სამართლის ძირითადი ნაწილი ამ კატეგორიას მიეკუთვნება. ნორმები, რომლებიც ქცევის განსაზღვრულ სახეებს უშვებენ, მნიშვნელოვნად მცირე ზომით იძულებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე ზოგიერთი ქცევის ამკრძალველი ნორმები.

და ბოლოს, ერთი ნორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები. აშშ-ს ყველა შტატში არის კანონები, რომლებიც მძიმე დანაშაულებებს კრძალავს, მაგალითად, მსხვილი ქურდობები. ზოგიერთ შტატში არსებობს კანონები, რომლებიც სჯიან "მძიმე დანაშაულების შეუტყობინებლობისა გამო", რომელთა შესატყვისადაც თქვენ ვალდებული ხართ შეატყობინოთ ხელისუფალთ ის, რაც თქვენთვის იყო ცნობილი მოსალოდნელი დანაშაულის მზადებაზე. სხვათაშორის უკანასკნელი გარემოება ძალიან ძნელი დასასაბუთებელია, ამიტომ კანონი დაუსმენლობის შესახებ იშვიათად გამოიყენება.

ნორმა - წესები და ნორმა - მოლოდინები

ნორმა - წესებსა და ნორმა - მოლოდინებს შორის ძირეული განსხვავებაა. ნორმა – წესები საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმებია, ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ და საზოგადოების ერთიანობის განმამტკიცებელ – მაინტეგრირებელ ძირითად მექანიზმს წარმოადგენენ. ნორმა-წესების დარღვევას ჩვეულებრივ მკაცრი სასჯელი მოყვება ხოლმე. ნორმა-წესები მოიცავენ კანონებს, რომლებიც კრძალავს ისეთ ქცევებს, როგორცაა მკვლელობა და ადამიანთა მოტაცება. ნაკლებად მნიშვნელოვანი ნორმები ნორმა-მოლოდინებად იწოდებიან, მათი დაღვევა არ იწვევს მკაცრ სასჯელს. ზოგიერთი ნორმა-მოლოდინის დარღვევა, მაგალითად, ჩანგლის გამოყენება კოვზის ნაცვლად ან ქუჩაში საცურაო კოსტუმით გამოსვლა ყოველთვის არ იწვევს შენიშვნასაც კი. რაც შეეხება სექსუალურ ქცევას, მოუწესრიგებელი და შემთხვევითი სქესობრივი კავშირები უმეტეს საზოგადოებაში კვლავინდებურად ნორმა-მოლოდინების დარღვევად ითვლება. გაუპატიურება კი კვლავაც მკაცრ სასჯელს იმსახურებს და განიხილება როგორც ძირითადი ნორმა-წესების დარღვევა.

ნორმა - წესების დაცვა კანონით კონტროლდება უფრო დიდი ზომით, ვიდრე ნორმა-მოლოდინების აღსრულება, მაგრამ ზოგიერთი კანონი (მაგალითად ისინი, რომლებიც დაკავშირებულია ავტომობილის ტარებასთან და ლოთობასთან) შექმნილია ნორმა-მოლოდინების დაცვის გასაკონტროლებლად. დევიანტური ქცევის დასჯის სიმკაცრე ძირითადად ნორმის იმ ტიპის მეშვეობით განისაზღვრება, რომელიც დაირღვა.

დევიანტური ქცევების ჩადენა - შესრულება

დევიაცია მნიშვნელოვნად უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ამტკიცებენ. პოლიციაში ხშირად არ რეკავენ ნარკოტიკების მოხმარების თაობაზე, გადასახდელების გადაუხდელობასა და თვით მსხვილი ძარცვის თაობაზეც კი. ნიუ-იორკის მცხოვრებთა სოციოლოგიური კვლევისას რესპონდენტთა 99%-მა აღიარა, რომ მათ ჩადენილი აქვთ ერთი ან მეტი უკანონო ქცევა, მაგალითად ქურდობა მაღაზიაში. მხოლოდ ძალიან ცუდია თუ მოხვდა პოლიციის თვალთახედვის არეში ან სასამართლოს გარჩევებში (უოლერსტაინი, უაილი, 1947).

ახდენს თუ არა გარკვეული საზოგადოებრივი კლასისადმი კუთვნილება დანაშაულებრივი ქმედებებისადმი მიდრეკილებაზე გავლენას? თითქმის 2000 ადამიანის გამოკვლევა ასაბუთებს, რომ არსებობს მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო კორელაცია (თუ კი იგი საერთოდ არსებობს) ადამიანის კლასისადმი კუთვნილებასა (შემოსავლის, სქესის, საქმიანობის და განათლების თვალსაზრისით განსაზღვრული) და მათ მიერ ზოგიერთი დანაშაულის ჩადენის ალბათობას შორის უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (ტიტლი, ვილემეზი, 1977). აქ ჩასასმელია....

ქცევის დევიანტურად აღიარება

ჩვენ უკვე ვიცით, რომ არა ყველა დევიანტური ქცევა ითვლება დევიანტურად. ეს ასაბუთებს "იარლიყების მიკერების" თეორიის მომხრეთა აზრს იმის შესახებ, რომ მრავალ შემთხვევაში "დევიანტური" ქცევა არ განიხილება როგორც დევიანტური. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ ადამიანებს აპატიმრებენ და სჯიან კიდევ იმ "დევიანტური" ქცევისათვის, რომლებიც მათ არ ჩაუდენიათ. პილიანმა და ბრიარმა (1964) გამოიკვლიეს პოლიციის საქმიანობა დასავლეთ

ამერიკის ერთ – ერთ ქალაქში. გამოკვლევული იქნა, რომ თვით მაშინაც კი როდესაც საქმე ერთნაირ სამართალდარღვევასთან ჰქონდათ, პოლიციის თანამშრომლები ხშირად აპატიმრებდნენ ადამიანებს, რომელთა ჩაცმულობაც, მიმოხვრა და ქცევის მანერები პოლიციელებში გაღიზიანებას იწვევდა.

ადამიანის დევიანტად აღიარება

ქცევის როგორც დევიანტურის შეფასებისგან ადამიანზე დევიანტის "იარლიყის" მიკერებაზე გადასვლა ჩვეულებრივ ხორციელდება მისი ქცევების შესახებ არსებული ინფორმაციის თავისებური სახის დამუშავების შედეგად. როგორც წესი, ამ "დამუშავებას" ახორციელებს რომელიმე დაწესებულება. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში დიაგნოზს გონებრივი აშლილობის მქონე ადამიანებს აუსვამენ რომელიმე დიაგნოსტიკის მეშვეობით, ხოლო სასამართლოები სასჯელს უსჯიან დანაშაულის ჩამდენ პირებს. ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე შედეგები ფიქსირდება: ადამიანს "აკერებენ დევიანტის" იარლიყს, თუ იგი ავადაა ან თუ მას წარუდგინეს ბრალდება. ამ შემთხვევებში საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე სუსტი კავშირი ინდივიდუუმის, როგორც დევიანტის ოფიციალურ განსაზღვრებასა და დევიანტური ქცევების რეალურ განხორციელებას შორის. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება, როდესაც ადამიანს ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყებს ჰკიდებენ. გასაოცარი შედეგი იქნა მიღებული ლ. ლოზენჰენის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად (1973). მან გადაწყვიტა ეკვლია, თუ რა ხდება, როდესაც ნორმალურ ადამიანს საავადმყოფოში ათავსებენ. როზენჰენი და შვიდი სხვა ფსევდოპაციენტი დააწვინეს სხვადასხვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში საჩივრებით – ჩივილებით, რომ მათ "სდევნიოდა რაღაც ხმები". მას შემდეგ როგორც კი ისინი კლინიკებში მოათავსეს (ყალბი გვარებით), მათ მაშინვე გაუქრათ "არანორმალურობის" სიმპტომები. ისინი მედპერსონალს არწმუნებდნენ, რომ ისინი ნორმალური ადამიანები იყვნენ. ფსევდოპაციენტების უმრავლესობას შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს. მათ საავადმყოფოებში დაახლოებით 19 დღე დაყვეს და ვერც ერთი ექიმი ვერ მიხვდა, რომ მათ ატყუებდნენ. ამაში მხოლოდ ზოგიერთი სხვა პაციენტი დააეჭვდა.

საავადმყოფოში ყოფნის პირველი სამი დღის განმავლობაში 35 პაციენტმა (სულ საავადმყოფოში 118 პაციენტი იყო) გამოთქვა თავის ეჭვი, ხოლო ზოგიერთი მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში. "თქვენ არა ხართ ავადმყოფი ადამიანი. თქვენ ჟურნალისტი ან პროფესორი ხართ (ფსევდოპაციენტები დიდ დროს ხარჯავდნენ საკუთარი დაკვირვებების ჩასაწერად) თქვენ ექიმების საქმიანობას აკონტროლებთ". თუმცა ფსევდოპაციენტი დაჟინებით უნერგავდა სხვა ავადმყოფებს, რომ ის იტანჯებოდა საავადმყოფოში მოხვედრამდე, ახლა კი თავს კარგად გრძნობს, ზოგიერთი მათ აბსოლუტურად ნორმალურ პიროვნებად თვლიდა თითქმის გამოწერამდე. მაგრამ რამდენადაც ისინი შიზოფრენიკებად აღიარეს, ფსევდოპაციენტებმა ვერაფრით ვერ შეძლეს ამ იარლიყისგან თავის დაღწევა. (სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთი სამედიცინო პერსონალისაგან მიხვდა კიდევ, რომ მოატყუეს, მაგრამ შერცხვენა თავიდან რომ აეცილებინათ ვერ გადაწყვიტეს ეღიარებინათ პირველად დასმული დიაგნოზის სიმცდარე).

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე საავადმყოფოს პერსონალს (ფსიქიატრებს, მედიცინისტებს და ა.შ.) აცნობეს, რომ უახლოესი სამი თვის განმავლობაში საავადმყოფოში შეიძლება ფსევდოპაციენტები მოხვდნენ. ყველა თანამშრომელს დაევალიათ დაწვრილებით გამოეკვლიათ თითოეული ავადმყოფი და გამოეველინათ მოტყუების შემთხვევები. 193 პაციენტისგან, რომლებიც საავადმყოფოში ფსიქიკური ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად მოხვდნენ, 41 ადამიანი ნორმალურად იქნა ჩათვლილი უკიდურეს შემთხვევაში ერთი ექიმის მიერ. მაგრამ სინამდვილეში ამ შემთხვევაში პაციენტებს შორის არცერთი ფსევდოპაციენტი არ ყოფილა. როგორც როზენჰენი ასკვნის "დიაგნოზის დასმის ნებისმიერი პროცედურა, რომელსაც მსგავსი სახის მასობრივ შეცდომებთან მივყავართ, დაუშვებელია მედიცინაში."

ხშირად ადამიანის დევიანტად აღიარების პროცესი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება. მაგალითად, მცირეწლოვანი დამნაშავენი შეიძლება გამოვლენილ იქნენ სკოლაში, შემდეგ მათ იკვლევენ პოლიციელები, ამის შემდეგ მათ წინააღმდეგ აღიძვრება საქმე სასამართლოში და ბოლოს მათ გამოსასწორებელ კოლონიებში აგზავნიან (შური 1971). მაგრამ ზოგჯერ ეს პროცესი ნაკლები ფორმალურობით გამოირჩევა. ჩვენთვის ჩვეულებრივ სტერეოტიპად იქცა ცნება რომელიღაც "შემოწმებული გენიაზე". აზრი იმის შესახებ, რომ შემოქმედება და ფსიქიკური აშლილობა რაღაცნაირი სახით ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. XIX საუკუნის რომანტიკული ლიტერატურის გავლენით წარმოიშვა, რომელშიც ხოტბას ასხამდნენ თავისებურ გამორჩეულ – თვითნებურ ქცევებს და "შემოწმებული გენია" უფრო დადებით, ვიდრე უარყოფით გმირად ითვლებოდა. თავად "შემოწმებული გენიები" ხშირად იყენებდნენ ასეთ დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი, ქმნიდნენ რა თავის რომანტიკულ სახეს (ბეკერი 1978).

დღეს მასმედია თამაშობს ძირითადად როლს დევიანტური ქცევის შეფასების კრიტერიუმის შემუშავებაში. როდესაც პატრიცია ჰერსტი მოიტაცეს 1974 წელს პრესა იყო ერთადერთი წყარო ინფორმაციისა მრავალი თვის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა მის აღმოჩენას და ბანკის გაძარცვის ბრალდებით დაპატიმრებას. მრავალი ამერიკელი დარწმუნებული იყო მის ბრალეულობაში დიდი ხნით იქამდე, სანამ ის სასამართლოს წინაშე წარსდგა. საზოგადოებრივი აზრი გარკვეული ზომით მის შესახებ შეიქმნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენით, რომელმაც იგი წარმოადგინა, როგორც "განუხლებული ბავშვი მდიდარი ოჯახიდან" და სწორედ ამ სახემ გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობის გაღიზიანება.

სტიგმატიზაცია

სტიგმა ეწოდება ადამიანისთვის ან ჯგუფისთვის დამახასიათებელ რომელიმე ნაკლსა თუ მანკიერებას. ამ მანკიერებით აღნიშნული ადამიანები ირგვლივ მყოფთაგან განიცდიან დასჯას, იზოლაციას ან დამცირებას. თუ ადამიანი დევიანტად ითვლება, იგი რაღაცნაირი ზომით შეიძლება დასჯილ იქნას. სასჯელი შეიძლება შედარებით რბილი იყოს – ზოგჯერ ადამიანები უბრალოდ გულგრილ დამოკიდებულებას გამოხატავენ დევიანტის მიმართ; მაგრამ ის შეიძლება იყოს მკაცრიც: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან ციხეში მოთავსება. სტიგმის სხვა სახეები ეხება ფიზიკური ეფექტების მქონე ადამიანებს. მაგალითად, ბრმები და კოჭლები არ განიცდიან დასჯის ჩვეულებრივ სახეების ზემოქმედებას, მაგრამ მათ არ ექცვიან ისე, როგორც ნორმალურ ადამიანებს ექცვიან. ხეივანი, ცალფეხ დაკარგული გოგონა იგონებს, რომ ადამიანები მუდამ

ეხმარებიან მას, როგორც კი დაეცემოდა გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალისას: "ისინი არ მექცეოდნენ ისე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც გორგოლაჭებიანი ციგურებით სეირნობისას ეცემიან. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მე ვეცემოდი მხოლოდ იმიტომ, რომ მიუსაფარი ხეივანი ვარ." (გოფმანი 1963, გვ. 16). ეს ტენდენცია ვლინდება იმაში, რომ ადამიანები სწორად ვერ აფასებენ, ზოგჯერ კი ზედმეტად აფასებენ სტიგმატი ადამიანის შესაძლებლობებს. მაგალითად, ითვლება, რომ დამნაშავეები კითხულობენ მხოლოდ იაფყდიან დეტექტიურ რომანებს. თუ ისინი სიმონა დე ბოვუარის ან ლორენს დურენის წიგნებს კითხულობენ, მაშინ მათ უჩვეულო პიროვნებად თვლიან (გოფმანი, 1963). გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგრეთწოდებული ნორმალური ადამიანები სტიგმის მქონე "დალდასმულ პიროვნებებს" დიდი ცერემონიალებით არ ექცევიან.

სტიგმატიზაციის შედეგები

როდესაც ადამიანს დევინტად მიიჩნევენ და მას შესაბამისად ექცევიან, საინტერესოა თავად დევინტი როგორ რეაგირებს ამაზე? თვლის თუ არა სიკვდილმისჯილი საკუთარ თავს უფრო დიდი ხარისხის მქონე დევინტად, ვიდრე ჰომოსექსუალისტი იარლიყის მქონე პიროვნება? ამ კითხვაზე პასუხი განისაზღვრება იმით, თუ როგორი ზომით ეთანხმება ადამიანი გარეშეთა აზრს. შურმა (1971) დევინტის სახეში "შესვლის" პროცესს როლური შთანთქმა – ჩაყლაპვა უწოდა. მისი თვალსაზრისით თანახმად როლური შთანთქმა ეს არის დევინტური ქცევის განვითარების პროცესის ბოლო ეტაპი. ამ შთანთქმის ხარისხი ძირითადად განპირობებულია გარეშე მყოფ ადამიანთა დამოკიდებულებით იმ პიროვნებისადმი, რომელიც დევინტად ითვლება. ფილიპსმა (1963) გამოიკვლია თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები, როდესაც გაიგებენ, რომ ვიღაცამ დახმარებისათვის ფსიქიატრს მიმართა. რამდენიმე ასეულმა ზრდასრულმა ადამიანმა მიიღო ბარათები, რომლებშიც აღწერილი იყო ხუთი ადამიანის ქცევა: პარანოიკური, შიზოფრენიკის, ჩვეულებრივი შიზოფრენიკის; შემფოთებული და დამწუხრებულის, პაციენტის, რომელსაც შიშები ტანჯავდა, ნორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანის ქცევები. ამასთან ერთად მიეწოდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა დახმარება ესაჭიროებოდა თითოეულ მათგანს – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობა, ფსიქიატრის კონსულტაცია, მოძღვართან საუბარი და ამის მსგავსი. ფილიპსმა აღმოაჩინა, რომ ადამიანები ცდილობდნენ უფრო იმათთან ჰქონოდათ საქმე ვისაც ფსიქიატრიული დახმარება არ ესაჭიროებოდა, ადამიანის ავადმყოფობის ხასიათისა და ხარისხისაგან დამოუკიდებლად. ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა უფრო უარყოფილად აღიქმებოდა, ვიდრე ის სულით ავადმყოფი, რომელიც საერთოდ არ ცილობდა სამედიცინო დახმარების მიღებას.

ეს გამოკვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ პრობლემებს, რომლებსაც დევინტის დალდასმული ადამიანები ეჯახებიან. მათდამი სამუშაო მიმცემთა, დამსაქმებელთა, ოჯახის წევრებისა და მეგობრების დამოკიდებულება გავლენას ახდენს როლური შთანთქმის თავისებურებებზე. მაგრამ ზოგჯერ ადამიანები ჯიუტად უარს ამბობენ საკუთარი თავის დევინტად ჩათვლაზე ან მათზე მიკერებული იარლიყის "განეიტრალებას" ცდილობენ. ამ დროს ისინი აღიარებენ მათ მიერ დევინტური ქცევის ჩადენას, ხოლო შემდეგ კი ცდილობენ რაღაცნაირი სახით მის გამართლებას (მატცა, 1964). მაგალითად, ქალის ჩანთის მოპარვაში ბრალდებულმა ვაჟმა შეიძლება ასეთი რამ თქვას გასასამართლებლად: "დიახ, მე მოვიპარე,

მაგრამ ხომ იცით რომ ყველა იპარავს. მე უბრალოდ არ გამიმართლა და დამიჭირეს." იგი იცავს, მხარს უჭერს, აღიარებს ქურდობის ამკრძალველ ნორმას, მაგრამ თავისი საქციელის "განეიტრალებას" მისი დეპერსონალიზაციით ცდილობს. დევიანტურ იდენტურობასთან ადამიანის თანხმობა მრავალ ფაქტორს ემყარება – რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად დიდხანს, რამდენად ხშირად და როგორი ინტენსივობით ახვევენ თავს გარეშე პირები მას მოცემულ იდენტობას და აგრეთვე მნიშვნელოვანია მისი უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს როლური შთანთქმის პროცესს.

დევიაციის კოლექტიური ფორმები

როგორც დევიდ მატცა თვლის, უმრავლეს შემთხვევებში, როდესაც დევიაცია შესამჩნევია დიდი ხნის განმავლობაში, იგი გადის ერთეული ადამიანის ქცევის ჩარჩოებთან და კოლექტიური ხდება: ერთეული დევიანტური ქცევების საფუძველზე ყალიბდება ქცევის ნიმუშები, რომელიც მრავალი ადამიანის მიერ აითვისება. ამგვარმა ნიმუშმა შეიძლება სუბკულტურის შექმნასთან მიგვიყვანოს, რომლის ძირითადი პრინციპები სტიმულს აძლევენ "წესების დარღვევას". ამ დროს :დანაშაულებრივი სამყაროს სუბკულტურა თავის ნორმებს გაბატონებული კულტურიდან სესხულობს, მაგრამ "თავდაყირა აყენებს მათ." დანაშაულებრივი ქცევა სწორედ ითვლება ამ სუბკულტურის სტანდარტების შესაბამისად სწორედ იმიტომ, რომ იგი უპირისპირდება გაბატონებული კულტურის ნორმებს". (კოენი, 1955) ამ ტენდენციის ყველაზე ნათელი გამოსახულებაა დანაშაულებრივ ბანდათა ქცევები, აგრეთვე "მეამბოხეების" (მერთონის კონცეფციის თანახმად). რიტუალიზმი, რომლის შესახებაც წერდა მერთონი, შეიძლება ასავე კოლექტიური გახდეს. ვინმეს იდეალური ჩვევა ზედმიწევნით დაიცვას, წესები შეიძლება მოსამსახურეთა და თანამშრომელთა ჯგუფის "მუშაობის სტილად" იქცეს, რომელთაც აბსურდამდე დაყავთ ნებისმიერი თვით უმნიშვნელო განკარგულების შესრულება, რასაც მუშაობის შენელებასა და დამუხრუჭებასთან მივყავართ. საკმარისია წარმოვიდგინოთ ავიადისპეჩერების მუშაობა, რათა გავიგოთ, რომ დევიაციის ასეთმა სახემ შეიძლება მთელი ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზება გამოიწვიოს.

როდესაც დევიაცია კოლექტიური ხდება, დევიანტური ჯგუფი დიდ გავლენას იძენს საზოგადოებაში, ვიდრე მისი ის წარმომადგენელი, რომელიც მარტოხელა მოქმედებს. ამასთან დაკავშირებით ხელისუფალნი ახალ რთულ პრობლემებს ეჯახებიან. პირველი, ამას შეუძლია ხელი შეუშალოს მთელი ჯგუფის ქცევების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას. მეორე, ქცევა, რომელიც დევიანტურად ითვლებოდა, ახლა შეიძლება შეფასდეს როგორც "რამდენადმე განსხვავებულად" ან "მცირედ გადახრილ რაიმედ" იმის ზომის შესაბამისად როგორადაც იგი სოციალურად აღიარებული ხდება.

სოციალური კონტროლი

ის ფაქტი რომ გამოკითხულთა 99% – მა (გამოკვლევაში, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ) აღიარა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოუპარავს ან დაურღვევია კანონი, ადასტურებს იმ მნიშვნელოვან დაძაბულობას, რომელიც გამოწვეულია ადამიანთა სურვილებსა და მათზე სოციალური ნორმების დაცვის მაიძულებელი საზოგადოების მხრივ ზეწოლას შორის არსებული

კონფლიქტით. ტერმინი სოციალური კონტროლი ეხება საზოგადოების ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობას, აგრეთვე მათი განხორციელებისათვის გამოყენებულ სანქციებს. დევიაციის გამოკვლევებში, სოციალური კონტროლი ნიშნავს გარემომცველ ადამიანთა და დაწესებულებათა ძალისხმევას, რომელიც დევიანტური ქცევის თავიდან აცილებაზე, დევიანტების დასჯასა და მათ გამოსწორებაზეა მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ხშირად არღვევენ სოციალურ სტანდარტებს, მათი უმრავლესობა კონფორმულნი არიან. უფრო მეტიც, ყველას სურს ნორმების დაცვა და ამას თავისთავად ცხად რაიმედ თვლიან. ეს გასაოცარი მოვლენა სოციალიზაციის შედეგია. ალბათ, გახსოვთ, რომ სოციალიზაციის ძირითადი მიზანია – ხელი შეუწყოს კონფორმულობისაკენ ადამიანთა სწრაფვას. უმრავლეს შემთხვევაში ბავშვები კარგად აღზრდილ ზრდასრულ ადამიანებად ყალიბდებიან, რომლებიც იქცევიან საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების შესაბამისად ყოველგვარი იძულების გარეშე. მაგრამ, რამდენადაც სოციალიზაცია არასოდეს არ არის იდეალური, ამდენად სოციალური კონტროლიც მოწოდებულია დაარეგულიროს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტანდარტების შესრულება.

პარსონსმა (1951) გაანალიზა სოციალური კონტროლის სამი მეთოდი:

იზოლაცია გამოიყენება დევიანტის სხვებისაგან მოშორების მიზნით, იგი არც კი გულისხმობს რეაბილიტაციის მცდელობასაც კი. სწორედ ასე ციხეებში ამწყვდევენ მოუსჯულელებელ დამნაშავეებს.

განცალკევება გულისხმობს დევიანტის სხვა ადამიანებთან კონტაქტების შეზღუდვას, მაგრამ არა საზოგადოებისაგან სრულ იზოლაციას. ეს საშუალებას აძლევს დევიანტს დაბრუნდეს საზოგადოებაში, როდესაც ისინი მზად არიან შეასრულონ მისი ნორმები. ბჭობა ეხება ისეთ მეთოდებს, როდესაც მაგალითად, ადამიანს შეზღუდული ვადით ათავსებენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

და ბოლოს, რეაბილიტაციის წყალობით დევიანტებს ძალუძთ მოემზადონ ნორმალურ ცხოვრებაში დასაბრუნებლად და საზოგადოებაში თავის როლების შესასრულებლად. მრავალ ციხეში არის რეაბილიტაციის პროგრამები, ხოლო "ანონიმური ალკოჰოლიკების" მსგავსი ჯგუფები ახორციელებენ იმ დევიანტთა რეაბილიტაციას, რომლებიც დამნაშავენი არ არიან. იმისთვის, რათა დავეხმაროთ დევიანტებს თავიანთი ადგილები იპოვონ ცხოვრებაში და შეძლონ ადაპტირება, აგრეთვე იყენებენ ფსიქოთერაპიას.

არსებობს სოციალური კონტროლის ფორმალური და არაფორმალური მეთოდები. არა ფორმალური კონტროლი "არაოფიციალურობას" გულისხმობს და ჩვეულებრივ პატარა ჯგუფებში გამოიყენება. ფორმალური კონტროლი "ოფიციალურობასთან" ასოცირდება, ჩვეულებრივ იგი მსხვილ ორგანიზაციებში ხორციელდება, მაგალითად პოლიციის მიერ.

დევიაცია და სოციალური კონტროლი

არაფორმალური კონტროლი. ზოგჯერ სანქციები არაფორმალურად გამოიყენება. მაგალითად, როდესაც ადამიანები, იმყოფებიან რა მჭიდრო კონტაქტში დამრღვევებთან, მას უწუნებენ საქციელს და კიცხავენ. განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია.

პირველკურსელი სიუზანი შაბათს ბოსტონში ატარებს. როდესაც საღამოს სახლში დაბრუნებას დააპირებს, აღმოჩნდება, რომ მისი მტარებელი უკვე წასულია, სხვაგვარად კი კოლეჯში მოხვედრას ვერ ასწრებს, არც სხვა ტრანსპორტი უკვე აღარ გადის სასურველი მიმართულებით. ბოსტონში კი სუზანი მხოლოდ სემს იცნობს, რომელიც მისი მეზობლის დეიდაშვილია. იგი ურეკავს სემს, რომელიც პატიჟებს სიუზის ღამის გასათევად. იგი მიდის სემთან ღამის გასათევად, საიდანაც ურეკავს საერთო საცხოვრებელში თავის დაქალს, რომ ვერ მოდის და ღამეს სემთან ათევს. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ სუზანი წვება და იძინებს, დილით კი მიემგზავრება კოლეჯში. გზაში იგი იწყებს ფიქრს იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდება მას მისი მეზობელი, ქეთი, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს, რომელმაც იცის, რომ მან სემთან გაათია ღამე, სიუზანი ფიქრობს, დაურეკოს და აუხსნას ქეთის ყველაფერი, რათა მან სწორად გაიგოს მომხდარი. მაგრამ როდესაც სიუზანი ურეკავს ქეთის და სთხოვს, რომ შეხვდეს ვაგზალზე, აღმოჩნება რომ ქეთის არ სცალია და არ შეუძლია შეხვდეს ვაგზალზე. სიუზანი კოლეჯში ბრუნდება ტაქსით. იგი შედის საერთო საცხოვრებლის ოთახში და ესალმება დაქალებს, მაგრამ ისინი ცივად უვლიან გვერდს, თითქმის არ პასუხობენ მისალმებაზე და არ აქცევენ მას ყურადღებას. სიუზანს არ აქვს საშუალება აუხსნას ქეთის მთელი სიტუაცია, რადგან მეგობარი თვადან იცილებს მას. სადილისას სიუზანი ჯდება თავის ჩვეულებრივ ადგილზე, მაგრამ გარემომცველი, სუფრასთან მჯდომი თანაკურსელები ისე აგრძელებენ საუბარს, რომ მას ყურადღებასაც კი არ აქცევენ.

სწორედ ასეთი სიტუაცია არის არაფორმალური სოციალური კონტროლის ანუ "არაფორმალური" სოციალური ზეწოლის მაგალითი. ზეწოლის ასეთი სახე ყველაზე უფრო დამახასიათებელია პატარა ჯგუფებისათვის. სიუზანმა დაარღვია ჯგუფური ნორმები, დარჩა რა ღამით სემის ბინაში. იგი მომავალში უკვე აღარ მოიქცევა ასე, რადგან არ სურს განიცადოს მეგობართა მხრიდან ოსტრაკიზმი – ანუ მოკვეთა, განდევნა. ოსტრაკიზმი – განდევნა, კრიტიკა და დაცინვა წარმოადგენს არაფორმალური კონტროლის თითქოსდა სახეებს, რომლებიც ხელს უშლიან დევიანტურ ქცევას.

კროსბიმ გამოყო არაფორმალური კონტროლის ოთხი ძირითადი ტიპი:

1. სოციალური წახალისება, ჯილდო, რომელიც გამოიხატება ღიმილში, თავის დაქნევაში და უფრო მძიმეწონიან გამოვლინებებში (მაგ: თანამდებობაზე დაწინაურება), წარმოადგენს კონფორმულობის წახალისებას და არაპირდაპირ დევიაციის გაკიცხვას.
2. დასჯა - უკმაყოფილო შეხედვა, კრიტიკული შენიშვნები და ფიზიკურად გასწორების მუქარაც კი – უშუალოდ მიმართულია დევიანტური ქცევების წინააღმდეგ და განპირობებულია მათი თავიდან აცილების სურვილით.

3. დარწმუნება – დევიანტებზე კიდევ ერთი ზემოქმედების წესი და ხერხია მწვრთნელი. შეიძლება დაარწმუნოს ბეისბოლის მოთამაშე, რომელმაც გაცდინა ვარჯიში, თავის სპორტული ფორმის შენარჩუნების უცილებლობაში.

4. ყველაზე სრული ფორმაა ნორმების გადაფასება - ამ დროს ქცევა, რომელიც დევიანტურად ითვლებოდა, ფასდება უკვე როგორც ნორმალური. მაგ: ადრე თუ ქმარი რჩებოდა სახლში და ასრულებდა საშინაო საქმეებს, უვლიდა ბავშვებს, ამზადებდა სადილებს, როცა ცოლი სამსახურში მიდიოდა, მაშინ ასეთი ქცევა არავეულებრივ და ასევე დევიანტურ ქცევადაც კი ითვლებოდა. დღეს როლები ოჯახში თანდათანობით იცვლება.


ფორმალური კონტროლი

დილით ქალი ავტომანქანით გადის სახლიდან, აგვიანდება სამსახურში ჩქარობს, რის გამოც წითელზე გაიარა. პოლიციელი ითხოვს მანქანა ტროტუარს მიაყენოს და ჯარიმის გადახდის ქვითარს უწერს. და ბოლოს, როდესაც სამსახურში მიდის, უფროსი უცხადებს რომ თუკი იგი კიდევ ერთხელ დააგვიანებს, მაშინ მას გაათავისუფლებენ სამსახურიდან. საღამოს იგი ბრუნდება სახლში და ნახავს, რომ ბინაში გამორთულია შუქი, რამდენადაც მას დაავიწყდა ანგარიშის გადახდა.

ფორმალური სოციალური კონტროლის სისტემას ახორციელებენ ორგანიზაციები და წესები, რომლებიც წესრიგის დასაცავად არიან მოწოდებულნი. პოლიცია და სხვა სამართალდამცავი ორგანოები, აგრეთვე სასამართლოები, ფსიქიატრიული საავადმყოფოები და სხვები, მსგავსი ტიპის ორგანიზაციებს წარმოადგენენ. მათი თანამშრომლები თვალყურს ადევნებენ წესების დაცვას, რომლებიც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, თუმცა მრავალი სხვა წესი მხოლოდ ბიუროკრატიულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. სოციალური კონტროლის ორგანოებში თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი აპარატი არსებობს, რომელიც პოლიციის ოფიცრებს, მოსამართლეებს, იურისტებს, ციხის პერსონალის, გადასახადის ამკრეფთ და მართვის სამთავრობო ორგანოთა ჩინოვნიკებს მოიცავს.

სისხლის სამართალი - ესაა ფორმალური სოციალური კონტროლის სისტემა, რომელშიც რამდენიმე განსაზღვრული ეტაპი არსებობს, რომელიც ინდივიდუუმს დევიანტად გარდაქმნის. პირველ რიგში ინდივიდს აპატიმრებენ. შემდეგ ეტაპზე დევიანტი წარსდგება სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის საქმეებში, რომელიც გამოუტანს განაჩენს და რომელიც გადამწყვეტია მისი შემდგომი ბედის განსაზღვრებაში. და ბოლოს, მეორე ეტაპის მიერ მიღებულ რეზულტატებზეა დამოკიდებული დევიანტი მოხვდება ციხეში თუ სხვა ტიპი სასჯელს დაიმსახურებს. სქემა 7-1-ზე წარმოდგენილია ეტაპები, რომელსაც გადის დამნაშავე ფორმალური

სოციალური კონტროლის სისტემაში. სქემა 7-1. ეტაპები, რომელსაც გაივლიან დამნაშავენი ფორმალური სოციალური კონტროლის სისტემაში.



პროცესის პირველ ეტაპზე ჩვეულებრივ ხდება პოლიციის წარმომადგენლის შეხვედრა კანონის დარღვევაში ექვმიტანილ ადამიანთან. პოლიციელს შეუძლია გამოეკიდოს ავტომობილს, რომელიც მარყუჟებს აკეთებს ვიწრო ქუჩებში და აიძულოს მძღოლი ტროტუარის კიდეზე გაჩერდეს. პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გაჩხრიკოს ექვმიტანილი, აიძულოს ის გაყვეს ბადრაგს ან გამოიყენოს მის მიმართ სამართალსაწინააღმდეგო ქმდებათა აღმოფხვრა - ალაგმვის სხვა ზომები. ექვმიტანილს თავის მხრივ, შეუძლია გამოავლინოს, მონაწილეობითი, ნეიტრალური ან მეზრძოლი დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. ამ კონტაქტის საფუძველზე პოლიციის წარმომადგენელი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ხდომილებათა შემდგომ განვითარებაზე ახდენს გავლენას - მას შეუძლია გაათავისუფლოს ექვმიტანილი, გააფრთხილოს, მოიყვანოს პოლიციის განყოფილებაში სიმთვრალის შესამოწმებლად ან აღძრას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე.

პოტენციურ დამნაშავეებთან ურთიერთობა გავლენას ახდენს პოლიციელთა პიროვნებაზე. ყოველ ნაბიჯზე ისინი საშიშროებას ეჯახებიან, ხიფათის წინაშე დგანან. მათ აქვთ ძალადობის გამოყენების უფლება და მეტი ძალაუფლება ვიდრე რიგით მოქალაქეებს. მაღალ თანამდებობაზე მყოფი უფროსები მათზე ზეწოლას ახდენენ და მოთხოვნებს უყენებენ მათ. ყოველივე ამის შედეგად პოლიციის მოსამსახურეებს გარემომცველი სამყაროს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება უყალიბდებათ. ყოველივე დანარჩენის მიუხედავად, ისინი სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. სიმბოლურ სამხილებს - მხედველობაშია ექვმიტანილთა უსუფთაო - ფეთხუმი ტანსაცმელი ან მათი მტრული დამოკიდებულება პოლიციელების მიმართ. ეს ფაქტორები განსასზღვრავენ მათ დამოკიდებულებას და ურთიერთობას პოტენციურ დამნაშავეებთან.

პოლიციის წარმომადგენლებზე ზეწოლა ხელს უწყობს აგრეთვე მათში სამართლიანობის შესახებ რამდენადმე სხვა წარმოდგენის ჩამოყალიბებას, ვიდრე სხვა სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლებში. ისინი სრული თავისუფლებისაკენ ისწრაფვიან და არ აღიარებენ ამ თავისუფლების შეზღუდვებს

იურიდიული კოლეჯდამთავრებული პროფესორი დიდი მზაობით იყენებს ყველაფრისათვის საერთო წესებს და მაშასადამე დიდ პატივისცემას ავლენს დამნაშავეთა უფლებების მიმართ, გარდა ამისა, იგი ცდილობს პოლიციის ძალაუფლების შეზღუდვას მოსამართლეზე, უფრო სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლის წარმოების წესების ნათელ და გამჭვირვალე დაცვას და მაქსიმალური ობიექტურობისა და კომპეტენტურობისადმი მისწრაფებას.

სასამართლო პროცესი იწყება დაპატიმრებიდან. მაგრამ ვინ ექვემდებარება დაპატიმრებას? პრაქტიკაში დასაბუთებულია, რომ სამართალდამრღვევი ასაკი, რასა, კლასობრივი მიკეთვებულობა და სქესი გავლენას ახდენს დაპატიმრების შესახებ პოლიციის გადაწყვეტილებაზე. სქემა 7-2-ზე ნაჩვენებია, რომ დაპატიმრებულთა შორის დიდ უმრავლესობას შეადგენენ მამაკაცები, ახალგაზრდები, ზანგები.

სამართალდამრღვევებთან ურთიერთობაზე ასევე გავლენას ახდენს სიტუაციის განსაკუთრებულობაც. მაგალითად, ზოგიერთი მსხვილი ქალაქის კანონების შესაბამისად პოლიციას უფლება აქვს ადამიანი მოათავსოს კარანტინში, თუ არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ იგი ვენერიული ავადმყოფობითაა დაავადებული. ეს გვამღევეს შესაძლებლობას იზოლირება გავუკეთოთ დაპატიმრებულ მეძავეებს მანამ, სანამ მათ ვენერიული დაავადების სპეციალისტები გამოიკვლევენ. მაგრამ სინამდვილეში ყოველი 5 დაპატიმრებული მეძავისაგან მხოლოდ ორი ექვემდებარება კარანტინს, იმიტომ, რომ პოლიცია მოცემულ კანონს იყენებს არა როგორც საშუალებას ვენერიული დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ როგორც მეძავთა წინააღმდეგ მიმართულ მუქარას. მათგან ისინი, რომლებიც "თანამშრომლობენ" პოლიციასთან (მაგალითად, არიან ინფორმატორები) კარანტინს არ ექვემდებარებიან. ამგვარად, პრაქტიკაში არაა სავალდებულო დავიცვათ კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი.

ის ფაქტი, რომ დამნაშავეებთან ურთიერთობაში დაშვებულია უთანასწორობა, ეწინააღმდეგება ამერიკული საზოგადოების ძირითად კანონს – კანონის სიზუსტის დაცვის ურყევას – კანონისგან გადაუხვევლობას. სავსებით ცხადია, რომ არსებობს რაღაც შეუსაბამობა იდეალსა და სინამდვილეს შორის. იგი აიხსნება იმით, რომ პოლიცია პირველ რიგში "კანონი და წესრიგი" უნდა განამტკიცოს. მოქალაქენი კი მთავარ მნიშვნელობას საზოგადოებაში დანაშაულობების აღმოფხვრას ანიჭებენ და არა იმას, თუ რამდენად მკაცრად იცავს პოლიცია კანონებს. თუ პოლიციელები რაღაცნაირი ზომით არღვევენ წესებს და უკანონოდ აკავებენ მოურჯულებელ დამნაშავეს, ეს უფრო საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ვიდრე გაკიცხვას. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ პოლიციელები პირველ რიგში ისწრაფვიან დამსჯელი ფუნქციების შესრულებას და არა მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფას.

სქემა 7-2 აშშ-ს მთელი მოსახლეობის შეფარდება იმასთან, ვინც იყო დაპატიმრებული 1984 წელს სქესის, ასაკის და რასობრივი მიკუთვნებულობის მიხედვით.

სასამართლოები

დაპატიმრების შემდეგ დამნაშავეები სასამართლო სისტემის ხელში გადადიან. სასამართლოს დარბაზები ჩვენს წარმოდგენებში ასოცირდებიან დამაბულობით, დრამატიზმით სავსე ბრძოლასთან, თითოეული მხარე იცავს თავის საბუთებს და არგუმენტებს და საბოლოო მსჯავრი მათი დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე გამოიტანება. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა. ნაფიცმსაჯულებს საკმარისი დრო არ აქვთ თითოეული საქმის დაწვრილებით განსახილველად, ამიტომ მრავალი საქმე ირჩევა და წყდება სასამართლოს გარეშე ან განხილვის გზით, რომლებსაც თითქმის არაფერი საერთო არ აქვთ კონსტიტუციით გათვალისწინებულ სასამართლო პროცესებთან. იურიდიული ფაკულტეტის ერთ – ერთმა სტუდენტმა სასამართლო პროცესი "დურაქას" კარტის თამაშს შეადარა, რომელშიც "განსასჯელი იმყოფება "დურაქის" "სულის" მდგომარეობაში, რომლის ხელშიც თავი მოიყარა ყველა მოგებული თუ წაგებული მოწინააღმდეგის კარტებმა".

აშშ-ში 90 - დან 98%- მდე სისხლის სამართლის საქმეები არ განიხილებიან სასამართლო წესით. პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის გადაცემული 1640 საქმის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არცერთი მათგანი არ განიხილულა სასამართლო წესით და რიგით.

დაბალი და მაღალი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა წარმოების ყველაზე გავრცელებულ წესად თავისი ბრალის თუ დანაშაულის ამლიარებელ განსაჯელთან მოლაპარაკება და გარიგება გახდა. ასეთი გარიგება – მოლაპარაკების არსი ისაა, რომ განსაჯელი მზად არის აღიაროს თავისი ბრალეულობა, თუ მას ბრალდებას წაუყენებენ ნაკლებ მძიმე დანაშაულში და ეს განაჩენის შემსუბუქებას გამოიწვევს. საქმის წარმოების ასეთი წესი ნაკლებ მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ხანგრძლივი სასამართლო პროცესი. ასეთი მოლაპარაკება – გარიგების ერთი შემთხვევა ახლახანს ფართოდ ცნობილი გახდა. საქმე ეხება სან – ფრანცისკოს უნივერსიტეტის კალათბურთელის, წარსულში ვარსკვლავს კვენტინ დეილს; შემდგომში იგი ჩიკაგოს გუნდ "ჩიკაგო ბულლს" – ის პროფესიონალი მოთამაშე გახდა. დეილიმ აღიარა სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი გოგონას გაუპატიურების ფაქტი შემამსუბუქებელ ვითარებაში და პირობითი სასჯელი მიიღო. მიღწეულ იქნა გარიგება, რომ ამის ნაცვლად მას არ წაუყენებენ ბრალდებას სხვა მრავალ მის მიერ ჩადენილ გაუპატიურებებსა და ძალადობაში.

რატომ მიიღო ბრალისა და დანაშაულის აღიარების შესახებ მოლაპარაკება - გარიგებამ ფართო გახმოვანება, მიუხედავად იმისა, რომ ეს რაღაცა ზომით, ხელს უშლის სისხლის სამართლის მიერ გათვალისწინებული კანონების მკაცრ აღსრულებას? ფილი (1979) ამტკიცებს, რომ საქმეთა წარმოების ასეთი მეთოდი მისაღები და გამოსადეგია სასამართლოს ყველა მონაწილისათვის. განსაჯელი, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული, თავიან ირიდებს ხანგრძლივი ხანგრძლივი სასამართლო პროცესის მტანჯავ განუსაზღვრელობას – გაურკვეველობას; ის ზოგავს ფულს, რომელსაც დაკარგავდა სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში, გარდა ამისა ის ვალდებული აარაა ჰონორარი გადაუხადოს ადვოკატსა და სხვებს. და ბოლოს მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის ეკონომია. რაც შეეხება ადვოკატებს, მაშინ მათ ეს ათავისუფლებს სასამართლო პროცესის წარმოების გარდაუვალი სიძნელეებისაგან; გარდა ამისა გარიგება დანაშაულის აღიარების შესახებ მას შესაძლებლობას აძლევს საქმით დაამტკიცონ, რომ ისინი ემსახურებიან განსაჯელთა ინტერესებს, რამდენადაც ისინი ახერხებენ განაჩენის მნიშვნელოვან შერბილებას და შემსუბუქებას. მოსამართლეებსაც ასევე აძლევს ხელს ამგვარი გარიგება დანაშაულის აღიარების შესახებ, რადგან ეს აჩქარებს სასამართლო პროცესის მთელ მიმდინარეობასა და მსვლელობას; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩაფლული და გადატვირთული იქნებოდნენ საქმეებში და მათ უიმედოდ ჩაყლაპავდა გაჭიანურებული და ძვირად ღირებული სასამართლო საქმეთა გაჭიანურება.